ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1980 წ.

1980



ეროვნული ბიბლიოთეკა



საცხოვრებელი სახლი ავჭალის გზატკეცილზე

დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

# მზიანი ბავშვობისათვის

ვიქტორია სირაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

„ბავშვები ჩვენი მომავალია, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა 1979 წლის პირველ იანვარს ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას, — მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არცერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულებას ბავშვებისადმი.

ახალი კონსტიტუციის ყოველი მუხლი გამსჭვალულია მომავალ თაობაზე ზრუნვითა და ფიქრით. დევიზი — „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!“ — საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე მთელი საზოგადოებრივი პოლიტიკის ზნეობრივი პრინციპი იყო და არის.

მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან ბავშვები კაპიტალის სამყაროში. უკვე ოცი წელი გავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მიღებიდან, მაგრამ დღესაც კი ჩვენი პლანეტის მცხოვრები 1,5 მილიარდი ბავშვიდან 10 მილიონი სისტემატური შიმშილის გამო სასიკვდილოდ არის განწირული; 76 მილიონი ბავშვი ამავე მიზეზით ჩამორჩება თანატოლებს ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით; სამედიცინო მომსახურების უქონლობის გამო ბოლო ათი წლის მანძილზე გარდაიცვალა 7 მილიონ 500 ათასი ბავშვი; 373 მილიონი სასკოლო ასაკის ბავშვიდან სკოლაში მხოლოდ 115 მილიონი დადის; აზიის, აფრიკისა და ოკეანეთის ორმოცამდე ქვეყანაში საყოველთაო დაწყებითი სწავლებაც კი არ ხორციელდება...

ასეთმა მძიმე ვითარებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წლად გამოაცხადა.

ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მუდამ, არსებობის პირველი დღეებიდანვე სამაგალითო იყო ნორჩ თაობაზე ზრუნვით, ამ საერთაშორისო ღონისძიების აღსანიშნავად და მხარდასაჭერად გრანდიოზული საქმიანობა გაიშალა და მოზარდი თაობა, რომელსაც ისედაც არ აკლდა სახელმწიფოს მზრუნველობა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და წლის უპირველეს საზრუნავად იქცა.

საქართველოში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობ რესპუბლიკურ კომისიას სათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ჩერქეზია. კომისიამ შეიმუშავა მრავალფეროვანი სამუშაო გეგმა. თბილისის XXXVII პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც 1979 წლის იანვარში გაიმართა, იშვა ახალი მოწოდება: „ბავშვებისათვის ჩვენ ყველანი ვაგებთ პასუხს!“. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბავშვის საერთაშორისო წლის შესახებ მიიღეს სპეციალური დადგენილებები, რომელთა შესასრულებლად მობილიზებულ იქნა უდიდესი ძალები.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებას.

ბავშვის საერთაშორისო წელს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოზარდთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი განვითარების ყველა აუცილებელი პირობის შექმნის, მატერიალური ბაზის განმტკიცების პრობლემებს, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, პიონერთა ბანაკების, სპორტული ბაზების დაპროექტებისა და მშენებლობის, კვების ორგანიზაციისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას.

ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი რესპუბლიკური კომისიის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის და სხვა კომისიათა სხდომებზე რეგულარულად განიხილებოდა დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის, მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის, საბავშვო საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის, სამედიცინო მომსახურების, სახელმძღვანელოთა დროული და ხარისხიანი გამოცემის, შემოქმედებითს დაწესებულებებში საბავშვო თემატიკის მოცულობისა და ხარისხის ამაღლების და სხვა საკითხები.

რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საწარმოდაწესებულებებში ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოზარდთა შრომის პირობების მდგომარეობას, მათი პროფესიული, ზოგადიგანათლებისა და კულტურული დონის ამაღლებას, საბავშვო ასორტიმენტის საქონლითა და ბავშვთა კვების პროდუქტებით მოვაჭრე ორგანიზაციების მუშაობის სრულყოფას, საშუალო სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მატერიალური ბაზით უზრუნველყოფას. მარტო გასულ, 1979 წელს მწყობრში ჩადგა 80 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 33 ათასამდე მოსწავლისათვის, აგრეთვე 14 საბავშვო ბაღი და ბაგა 2570 ბავშვისათვის.

ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, მარტო ცეკავშირმა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან გახსნა 22 სასადილო და ბუფეტი (780 ადგილიანი). ამუშავდა 4 საბაზო სასადილო გორსა დ ზუგდიდში; გარდაბნისა და სიღნაღის რაიონებში გაიხსნა ბავშვთა კვების კომბინატები. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფად. საბავშვო საქონლის ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემის მაღაზიებში გაიხსნა საბავშვო ასორტიმენტის საქონლის სექციები და კუთხეები. ხარისხის ნიშნით არის გამოშვებული საბავშვო სამკერვალო ნაწარმის 30 პროცენტი, ტრიკოტაჟის 31 პროცენტი, ფეხსაცმლის 11,8 პროცენტი... ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა აითვისეს 35 ახალი დასახელების ბავშვთა მოხმარების საქონელი;. 1979 წელს წინა წელთან შედარებით საბავშვო საქონლის წარმოება 10 პროცენტზე მეტად გაიზარდა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებების ქსელის განვითარებისათვის, ბავშვთა შორის პროფილაქტიკური, სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის მილიონ-ნახევარი ბავშვია. მათ ემსახურება სამასამდე ამბულატორია-პოლიკლინიკა, 26 ბავშვთა საავადმყოფო, ხუთი ბავშვთა სპეციალიზებული სტომატოლოგიური პოლიკლინიკა; ბავშვთა საავადმყოფოებსა და რაიონულ საავადმყოფოთა საბავშვო განყოფილებებში დღეისათვის 7000-მდე სტაციონარული საწოლია; შექმნილია სპეციალიზებული დახმარების ფართო ქსელი მრავალი პროფილის მიხედვით: ბავშვთა ქირურგია, ნევროლოგია, ტრავმატოლოგია, ფსიქიატრია, უროლოგია, სტომატოლოგია, კარდიორევმატოლოგია, ენდოკრინოლოგია და ასე შემდეგ... მწყობრში ჩადგა 480 საწოლიანი ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო საკონსულტაციო პოლიკლინიკითურთ; ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ ამუშავდა თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო (315 საწოლით); გაიხსნა დედაქალაქის 21-ე ბავშვთა პოლიკლინიკა, აგრეთვე ბავშვთა პოლიკლინიკა სოხუმში, რომელიც 27 უბანს ემსახურება; მწყობრში დგება ქუთაისის ბავშვთა 340-საწოლიანი საავადმყოფო პოლიკლინიკითურთ, ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოს ახალი კორპუსი, ჩოხატაურის ბავშვთა საავადმყოფო. ჭეშმარიტად ჰუმანური ინიციატივა გამოიჩინა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა: საზოგადოებრივ საწყისებზე მან შექმნა მოძრავი ბავშვთა პოლიკლინიკა, რომლის მიზანია სოფლად მოზარდთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებისა და დისპანსერიზაციის გაუმჯობესება. პოლიკლინიკა, სადაც მუშაობენ პედიატრები, ქირურგი, ოტოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, ოკულისტი, ლაბორანტი და ექიმ-ორგანიზატორი, გასვლებს აწყობს კასპის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, თიანეთის, გარდაბნის, მარნეულის, დმანისის, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და სხვა რაიონებში.

მომავალი თაობის ჯანმრთელობისათვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს სანატორიულ-საკურორტო მკურნალობას. ჩვენს რესპუბლიკაში ახლა მარტო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარების ბავშვთა 30-მდე სანატორიუმია, რომლებიც 2800-ზე მეტ საწოლზეა გაანგარიშებული. ყველა სანატორიუმი პროფილირებულია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მთელი წლის მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ მუშაობს და წელიწადში ათი ათასამდე ბავშვს ემსახურება. საგზურები, რა თქმა უნდა, უფასოა. დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა სწორ კვებას. სანატორიუმის პროფილის მიხედვით 3-7 წლის ასაკის ბავშვის კვებაზე დღეში იხარჯება 0,98—1,18 მანეთი, ხოლო 7—14 წლის ასაკის ბავშვების კვებაზე — 1,31—1,41 მანეთი. მოზარდები თითქმის ყოველთვის, წლის ყოველ დროს, უზრუნველყოფილი არიან ნატურალური რძით, ახალი ბოსტნეულით, ხილით.

დიდი ყურადღება ექცევა პიონერული ბანაკების მომსახურებას. გასული ზაფხულის ცხელ დღეებში, ჩვენს რესპუბლიკაში ორგანიზებულად დაისვენა 158050 ბავშვმა (ბავშვთა მთელი კონტინგენტის 18,5 პროცენტმა) და 6 ათასმა ოჯახმა. მარტო ცხვარიჭამიის პიონერთა ბანაკების კეთილმოწყობას, სადაც ზაფხულში 10 ათასმა ბავშვმა დაისვენა, 2 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა.

გაფართოვდა ბავშვთა მუსიკალური, მხატვრული და ქორეოგრაფიული სკოლების, პიონერთა სახლებისა და სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურების ქსელი. ქართველმა მწერლებმა შექმნეს ახალი ნაწარმოებები ბავშვებზე და ბავშვებისათვის. გამომცემლობა „ნაკადულმა" ბევრი მაღალმხატვრული და პოლიგრაფიულად კარგად შესრულებული წიგნი მიაწოდა მოზარდებს.

მშვენიერი მაღალიდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები, ნარკვევები თუ რეპორტაჟები გამოქვეყნდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში.

ნაყოფიერად მუშაობდა და მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის პროპაგანდის ბიურო. საბავშვო მწერალთა ჯგუფები პერიოდულად ჩადიან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, აწყობენ ლიტერატურულ შეხვედრებს, საღამოებს, განხილვებს.

გაუმჯობესდა საბავშვო თეატრების საქმიანობა, გაფართოვდა და გამდიდრდა რეპერტუარი. ნაყოფიერად მუშაობს თეატრალური საზოგადოების საბავშვო თეატრების კაბინეტი, სადაც დროდადრო საბავშვო დადგმებს განიხილავენ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით საინტერესოდ აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე — 1 ივნისი. საბავშვო მწერლები შეხვდნენ და ესაუბრნენ ბავშვებს. მოეწყო ფოტოკლუბ „თბილისის" გამოფენა, გაიმართა ფოტოკონკურსი თემაზე: „ბავშვთა ღიმილი".

გაძლიერდა და გაიზარდა ქართველ კომპოზიტორთა ინტერესი საბავშვო მუსიკისადმი, შეიქმნა ბევრი სხვადასხვა ჟანრის საინტერესო ნაწარმოები. ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით მუსიკალურ თეატრებში დაიდგა რამდენიმე კარგი სპექტაკლი („ნაცარქექია", „სათაგური", „თეთრი კატა", „დაუპატიჟებელი სტუმრები" და სხვ.).

ასიათასობით ბავშვი ჩაება მხატვრული თვითმოქმედების წრეებში. ჩვენში ტრადიციად იქცა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადებისა და სახვითი შემოქმედების ნიმუშების გამოფენათა მოწყობა. უკვე რამდენიმე წელია, თბილისში მუშაობს ბავშვთა ნახატების მუზეუმი. ჩვენი რესპუბლიკის ბავშვები წარმატებით მონაწილეობენ ბავშვთა საკავშირო და საერთაშორისო სამხატვრო გამოფენებსა და კონკურსებში. საქართველოს მხატვართა კავშირის ესთეტიკური აღზრდის სექცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ ცენტრთან ერთად პერიოდულად აწყობს გამოფენებს. ბავშვთა ხელოვნების გალერეაში მოეწყო გამოფენა „სიმწიფის მიჯნაზე", გაიმართა მხატვართა შეხვედრები ბავშვებთან.

ყველაფერი ის, რაც 1979 წელს შესრულდა, საფუძველია იმისა, რომ მომავალ წლებში ბავშვებისათვის მეტი გაკეთდება.

მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელთა მოსკოვის კონფერენციამ, რომელიც 1979 წლის 7—11 სექტემბერს მუშაობდა, დედამიწის ყველა ხალხს მიმართა მოწოდებით, სადაც ნათქვამია: „ბავშვის საერთაშორისო წლის გამოცხადებას ფართოდ გამოეხმაურნენ მთელ მსოფლიოში, და აუცილებლად მიგვაჩნია გაგრძელდეს და განვითარდეს საქმიანობა ბავშვთა მდგომარეობის მუდმივი გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ ბავშვებს..."

1979 წლის 1 იანვარს საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მიმართვაში ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „სამწუხაროდ, დღეს ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრგან გაისმის სროლა, იღვრება სისხლი და იღუპებიან არა მარტო მოზრდილები, არამედ ბავშვებიც. ჯერ კიდევ ბევრი ბავშვი იხოცება შიმშილითა და ავადმყოფობით. ამას ვერ შევურიგდებით. საბჭოთა კავშირში ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს".

დიახ, ეს ასეა: ყველაფერი, რაც გაკეთდა და კეთდება, ყველაფერი, რაც უნდა გაკეთდეს, იმას ემსახურება, რომ ჩვენი ქვეყნის მოზარდ თაობას ხალისიანი, მზიანი ბავშვობა ჰქონდეს.

და არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის სიტყვები: „მომავალი დღევანდელობიდან იწყება".

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინის ორდენოსნები ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან

# გმირთა ოჯახი

ოდითგანვე, ჭირში თუ ლხინში კაცებს გვერდში ედგა ქართველი ქალი. საქართველოს აყვავება — ეს იყო მისი ცხოვრების არსი, მისი მიზანი. მაგრამ ყოველთვის ხსნილი არ იყო ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა. მხოლოდ სოციალისტურმა რევოლუციამ გაუხსნა გზა ქალს, მისცა წარმოებისა და საზოგადოების ყველა სფეროში მონაწილეობის შესაძლებლობა. ქალი ამაღლდა საზოგადოებაში.

თავისუფალ შრომაში ამაღლებულ ქალებს შორის არის დომინიკა ერასტოს ასული ქადარია. ის გმირიც არის, გმირის მეუღლეც და გმირი ქალიშვილების დედაც. მისი ოჯახი მისაბაძია ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გმირთა თანავარსკვლავედში, სადაც 52 სოციალისტური შრომის გმირიდან 37 ქალია.

1932 წლიდან ჩაება დომინიკა საკოლმეურნეო შრომაში. შრომის დიდი სიყვარული მან ჯერ კიდევ ახალსოფელში ჩაის კულტურების გაშენების დროს გამოავლინა. „ქადარიეფიში დიხა“ ასე უწოდებდნენ იმ ადგილს, სადაც დომინიკამ ჩაის თესლი ჩაყარა. სიმინდის მოსავალი ამ ფართობზე არ იყო სახარბიელო და გაიხარა დომინიკამ, როცა ქადარიების დიხაზე მწვანე ოქრო აბიბინდა. ამიერიდან ჩაის დაუკავშირა მან თავისი საქმიანობა. ის №4 ბრიგადის №2 რგოლის ხელმძღვანელად მუშაობდა. ამ ბრიგადას 1938 წლიდან 14 წლის განმავლობაში სათავეში ედგა მისი მეუღლე პართენ ქადარია.

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რათა მიეღოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავალი. უხვი მოსავლის მიღების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე აგროტექნიკური ღონისძიებების წესიერად გამოყენებას. ეს კარგად იცოდა პართენ ქადარიამ. მისი ბრიგადა საუკეთესოდ უვლიდა ჩაის პლანტაციებს, სწორად ანოყიერებდა ნიადაგს. მათ ჰექტარ ფართობზე ყოველწლიურად ზამთრის პერიოდში ნიადაგის დამუშავებისას შეჰქონდათ 6,6 ცენტნერი ფოსფატის ფქვილი, 3,4 ცენტნერი კალიუმის მარილი, 50 ტონა ორგანული სასუქი. ადრე გაზაფხულზე კი გამოკვების სახით იყენებდნენ 7 ცენტნერ ამონიუმის გვარჯილას. კარგად დამუშავებულ ჩაის პლანტაციაში არ შეიძლებოდა ჩაის დიდი მოსავალი არ მიეღოთ. ბრიგადაში პირველად დომინიკას რგოლი დაწინაურდა. 1947 წელს მისმა რგოლმა ჰექტარიდან 10.100 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღო, პირადად დომინიკას გაპიროვნებული ჰქონდა 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობი და აქედან 7 ტონა ნედლეული მოკრიფა. რგოლის მიერ მიღწეული წარმატებისათვის დომინიკა ქადარიას 1948 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ოჯახში დედა გახდა პირველი გმირი.

1948 წელს პართენ ქადარიას ბრიგადაში ჩაის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდების გზით 6 ჰექტარ ფართობზე მიიღეს 9,931 კგ ნედლეული, რისთვისაც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით პართენ ქადარიას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ამავე წელს რგოლის მიერ მიღწეული წარმატებებისათვის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს დომინიკა ქადარია. 1950 წელს დომინიკა და პართენ ქადარიებმა მეორედ მიიღეს ლენინის ორდენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პართენ ქადარია ოთხჯერ იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. 1955 წელს ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის საგამოფენო კომიტეტმა დააჯილდოვა ოქროს პატარა მედლით და მოტოციკლით. ის ახლა ხანდაზმულია, მაგრამ მაინც მუშაობს კოლმეურნეობაში.

დომინიკა აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის მრავალჯერ აირჩიეს სასოფლო და რაიონული საბჭოს დეპუტატად და თავგამოდებით ზრუნავდა სოფლის კეთილმოწყობისათვის, თავისი თანასოფლელების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა ხელს არ უშლიდა დომინიკას ყოფილიყო კარგი აღმზრდელი, კარგი დედა. შრომისმოყვარეობა ჩაუნერგა მან თავის ქალიშვილს მინადორასა და შვილობილს ვალია სრიგნოვას, რითაც ისინი შრომითი გმირობის კვარცხლბეკზე აიყვანა.

ომმა 12 წლის მშიერმწყურვალი გოგონა ვალია სრიგნოვა ქადარიების ოჯახში შემოგზავნა. ვალია დაბადებულია ობელინიკის რაიონის სოფელ მატვეევაში. ომის წლებში იგი უპატრონოდ დარჩა, ინგირის სადგურამდე ჩამოჰყვა მატარებელს და ახალსოფელში მოხვდა. უპატრონო გოგონას გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩა მუდამ გულისხმიერ სოფლის ხელმძღვანელს ანთიმოზ როგავას. მან შეკრიბა გამგეობის წევრები და მათი თანდასწრებით მიმართა პართენ ქადარიას: „პართენ, მე ვიცი, რომ დომინიკა შვილივით შეითვისებს ამ გოგონას. წაიყვანე შენ ის". პართენმა სიხარულით მიიღო თავმჯდომარის წინადადება. ასე შეიძინეს პართენ და დომინიკა ქადარიებმა მეორე ქალიშვილი. ამ გოგონასადმი კეთილ განწყობილებაში გამოვლინდა დომინიკას დიდი ადამიანური ბუნება, ამ ქალის არსებაში ღრმად გამჯდარი დედობრივი სითბო. მან მართლაც საკუთარი ქალიშვილივით შეითვისა ვალია და სასიქადულო მომავლის გზა უჩვენა მას.

13-14 წლის მინადორა და ვალია აედევნებოდნენ ხოლმე დედას ჩაის პლანტაციებში და ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს ჩაის ფოთლის კრეფას. მალე ისინი კარგად დაეუფლნენ ამ საქმეს. მინადორამ სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელში ისურვა დარჩენა და კოლმეურნეობის გამგეობას სთხოვა მისთვის ნაკვეთი გაეპიროვნებინათ. ეს იყო 1948 წელს. მას 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობი გამოუყვეს. ნაკვეთი მოუვლელი იყო, მაგრამ ამან გული არ გაუტეხა გოგონას. მან ეკალ-ბარდებისაგან გაწმინდა პლანტაცია, ჩაის ბუჩქებს ძირი შემოუბარა, მინერალური სასუქები შეიტანა და როგორც იტყვიან, პლანტაციამ თვალში გამოიხედა.

დადგა 1949 წლის გაზაფხული. ჩაის პლანტაცია ყლორტებით დაიფარა. მინადორამ მშობლების მაგალითზე ყველას გაუსწრო. მან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6400 კგ ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ის გვერდში ამოუდგა თავის დედას. 1951 წელს მინადორა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, 1953 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო, 1958 წელს კი ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მაჯის საათით დააჯილდოვა.

მინადორასთან ერთად დაიწყო თავისი შრომითი საქმიანობა ვალია სრიგნოვამ. 1948 წელს შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის მას შრომის წითელი დროშის ორდენი გადასცეს. 1949 წელს მეორედ შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო. 1950 წელს 0,5 ჰექტარი ფართობიდან ვალიამ სახელმწიფოს 6204 კგ ჩაის ფოთოლი ჩააბარა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ვალია ოჯახში მეოთხე გმირი იყო. გმირთა ოჯახის დედაბოძი დომინიკა მარტო საკუთარი შვილების აღზრდით არ შემოფარგლულა, ის სოფლის ახალგაზრდების დიდი მეგობარია და ძალ-ღონეს არ იშურებს მათი აღზრდისათვის. ამაზე მეტყველებს შემდეგი დოკუმენტი: „კომკავშირის ზუგდიდის რაიკომი აჯილდოებს ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ვეტერან მეჩაიეს დომინიკა ერისტოს-ასულ ქადარიას ახალგაზრდა მეჩაიეების დამრიგებლობისა და აღზრდის საქმეში გაწეული მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის". ეს გვარწმუნებს ჭეშმარიტი გმირის ჭეშმარიტ მოქალაქეობრიობაში, მის მიერ წმიდათა წმიდა ვალის ღრმად შეგნებაში.

არანაკლებ იღვწის ახალგაზრდა მეჩაიეების აღზრდისათვის დომინიკას ქალიშვილი მინადორა. ისიც თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს და შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანებს მათ. 1968 წელს ახალგაზრდობის რაიონულ შეკრებაზე მინადორამ თავისი სამუშაო იარაღები საზეიმოდ გადასცა ახალსოფლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს სულიკო ჭურღულიას. ეს იყო ესტაფეტის გადასვლა საიმედო ახალგაზრდობის ხელში.

**თამილა ქადარია**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-17 პლენუმის გადაწყვეტილებაა კადრებზე ზრუნვა**

# გულთან მისატანი

ჯერ იყო პატარა არტელი, შემდეგ — საწარმო, შედარებით მცირე მუშახელითა და უმნიშვნელო ნახელავით. ამზადებდნენ რეიტუზებს და ჟაკეტებს ბამბის ძაფისაგან.

დღეს სულ სხვაა. თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკად იწოდება, ჰყავს ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე, გასული წლის გეგმა 14 დეკემბრისათვის შეასრულა, წლის ბოლოსათვის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა, 32 სახეობის ნაწარმი ხარისხისნიშნიანია, წარმოების მთლიან მოცულობაში იგი 46 პროცენტს შეადგენს. ვ. ი. ლენინის **დაბადების 110-ე წლისთავისათვის** ყველა მუშა შრომით ვახტზე დადგა.

საკმაოდ გახმაურებული საწარმოა. მისი პროდუქცია მოსწონთ თბილისში, საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. ფაბრიკის სამი მოდელი ლონდონის გამოფენაზეც კი გაიგზავნა. აქაური ტრიკოტაჟის ტანსაცმელი ლამაზი, მოხდენილი და სასიამოვნო სატარებელია.

საქსოვ, საგამომჭრელო და სამკერვალო საამქროებში თითქმის მხოლოდ ქალები არიან (1000 თანამშრომლიდან — 110 მამაკაცია). მშვიდად, აუჩქარებლად, მონდომებით კეთდება საქმე, მზადდება გამოსასვლელი, მოდური, საზეიმო ტანსაცმელი. ბავშვები და მოზრდილები კმაყოფილები არიან აქაურთა ფიქრით და ცდით შექმნილი სამოსით.

და თუ კარგია თბილისური ტრიკოტაჟი, ეტყობა, კარგად შრომობენ კომბინატში, ეტყობა, მთელი გულით, მონდომებით, ცდითა და აზრით არის შექმნილი ყოველი კაბა, ჟაკეტი, სვიტერი თუ შარვალი.

კადრები კარგად მუშაობენ.

ბევრი აქაური მუშა ქუთაისის პროფტექნიკური სასწავლებლიდან მოვიდა.

შემდეგ ისინი დაოსტატდნენ. ბევრმა უმაღლესი განათლება მიიღო, საამქროს თუ ცვლის უფროსია, ტექნოლოგია. ლა-

ბორატორიის უფროსია. ცვლის ტექნოლოგები დარეჯან ანდრიაძე და ლალი მაჩიტაძე, ლაბორატორიის უფროსი იზიდა არაბიძე ქუთაისლები არიან.

ზოგი მუშა ფაბრიკამ აღზარდა, შეასწავლა საქმე, დააოსტატა, კვალიფიკაცია აუმაღლა, დააწინაურა, უმაღლესი სასწავლებლისაკენ გაუხსნა გზა და ხელმძღვანელი თანამდებობაც ჩააბარა.

ასეთია ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივნის თინა კუპრაძის ბიოგრაფია: დაამთავრა სუფსის სკოლა, მოვიდა ფაბრიკაში მოწაფედ, ეთერ ხაჩიძისაგან ისწავლა ქსოვა, დანიშნეს მქსოველად, შემდეგ შეისწავლა გამომჭრელის პროფესია, იმუშავა კონტროლიორად, საწარმოო სწავლების ინსტრუქტორად, (თვითონ ზრდიდა მოწაფეებს), ცვლის უფროსად, ზრუნავდა გეგმის შესრულებაზე, შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, ახალი ტექნიკის დანერგვაზე, წარმოების კულტურის ამაღლებაზე, ხარისხის გაუმჯობესებაზე, თანაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტი დაუსწრებლად დაამთავრა.

ახალგაზრდებს რომ აწინაურებენ, ძველები მათ გვერდით რჩებიან, ასწავლიან, უსწორებენ, წინსვლაში ეხმარებიან.

მუშის საშუალო თვიური ხელფასი 140 მანეთია. ბევრი მუშა 200-250 მანეთს იღებს თვიურად, მაგალითად, ლეილა კალატოზიშვილი.

თუ ხარისხიან პროდუქციას უშვებენ, იღებენ პრემიებს. კვარტალში ერთხელ ჯამდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ცვლების, უბნების, საამქროების მიხედვით და რიგდება პირველი, მეორე, მესამე ხარისხის პრემიები, გარდამავალი დროშები.

ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვებისთვისაც მუშა პრემიას იღებს, ახალი მოდელის დანერგვისთვისაც პრემიას იმსახურებს — ყველაფერი ეს კი მატერიალური წახალისების ფონდებს შეადგენს.

კადრების მოზიდვის, შენარჩუნებისა და დაოსტატებისათვის, მათი კვალიფიკაციის ზრდისათვის მორალური წახალისების შემდეგ ფორმებს იყენებენ:

წელიწადში ერთხელ აჯამებენ ნამუშევარს და ღირსეულს ანიჭებენ კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებას. მოწინავე მუშის სურათს ათავსებენ საპატიო დაფაზე, მისი გვარი შეაქვთ საპატიო წიგნში, ახალმოსულ მუშებს უხდიან დაბადების დღეს, აღნიშნავენ პირველი ხელფასის მიღებას.

თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მუშები სამუშაო პირობებს არ ემდურიან; ნათელ, სუფთა სამუშაო ოთახებში ბევრი ჰაერი, ყვავილებით დამშვენებული კუთხეები, ახალი ტიპის მანქანები შრომის კარგ, ჯანსაღ განწყობილებას ქმნის.

ეჯიბრებიან ლატვიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის საფეიქრო საწარმოებს.



საქსოვ საამქროში

რიგელებისაგან გადმოიღეს და დანერგეს საუკეთესო სიახლე — სამუშაოს შინ შესრულება. 30-მდე მუშა — მცირეწლოვანი შვილების დედა, პენსიონერი, ინვალიდი თუ ხანდაზმული ფაბრიკის მანქანებით სარგებლობს და სამუშაოს შინ ასრულებს.

შინ მომუშავეთა რიცხვი კვლავ გაიზრდება.

ფაბრიკაში სისტემატურად ინერგება ახალი წინადადებანი, რისთვისაც შესაფერის ანაზღაურებას იღებენ. რაციონალიზატორებმა ზეინაბ ხაჭაპურიძემ, ნათელა ჭაბაშვილმა, აზა რობაქიძემ, ჯილდა ბარბაქაძემ თავიანთი წინადადებებით გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, დაზოგეს ნედლეული, სახსრები.

საწარმო მოწინავეა, გამრჯე, პროდუქციით ხელდამშვენებულია. აქ ფიქრობენ რაც შეიძლება უკეთ აღზარდონ კადრები, გამოაწრთონ, დააოსტატონ, შესაფერისად გამოიყენონ, თავისი ადგილი მიუჩინონ, მოსთხოვონ მაქსიმუმი და შრომა სათანადოდ აუნაზღაურონ, მაგრამ...

მაინც ვერ ახერხებენ ისე მოემსახურონ მუშებს, ისე იზრუნონ მათს პირად კეთილდღეობაზე, როგორც საჭიროა.

ჯერ კიდევ ვერ აუმჯობესებენ მუშების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს. ეს ნათლად ჩანს მათი დიალოგებიდან.

— არა გვაქვს საბავშვო ბაგა-ბაღი. ქალაქის საბავშვო ბაღი, სადაც ტერიტორიული სიახლოვის გამო ბავშვებს ვატარებთ, ჩვენს სამუშაო გრაფიკს არ ემორჩილება.

— არა გვაქვს მუშათა საერთო საცხოვრებელი, ამიტომ ბევრმა იმედისმომცემმა, დამწყებმა მუშამ დატოვა ფაბრიკა და გაგვეცალა.

— არ შენდება საცხოვრებელი სახლები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ კოოპერატიულ საცხოვრებელ სახლს).

— არა გვაქვს ნახევარფაბრიკატების მაღაზია და სამუშაო საათების შემდეგ აუცილებელი პროდუქტების შეძენა დიდ დროს გვართმევს.

— სასადილოში კერძები ერთფეროვანია, გვაკლია ბოსტნეული, არ არის საშუალება შინ წავიღოთ მზა სადილები.

№1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ადამიანები ვერ იღებენ ყველაფერ იმას, რაც მათ სჭირდებათ. ესე იგი, მუშის მცდელობისა და თავდადების დაფასებაში ფაბრიკა ჯერ კიდევ მოისუსტებს.

რაც აქამდე არ გაკეთებულა, რაზეც აქამდე არ უზრუნვიათ, არ შეიძლება ასევე დარჩეს...

ჩვენ ხომ გვახსოვს სკკპ XXV ყრილობაზე როგორ დაისვა საკითხი:

რას აძლევს ადამიანი საზოგადოებას და რას აძლევს საზოგადოება ადამიანს!

და თუ ამაზე არ უფიქრიათ, ეს საკითხი გულთან არ მიუტანიათ, პარტიის XXVI ყრილობას როგორ ხვდებიან?!

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეცნიერება—სოფელს

# ქალთა შრომის შემსუბუქებისათვის

ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა შრომა ფართოდ არის გამოყენებული არა მარტო ჩაის მოყვანასა და კრეფაში, არამედ სიმინდის, თამბაქოს, ციტრუსების, ეთერ-ზეთების, ვაზისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოება საერთოდ მრავალდარგოვანი და მრავალფეროვანია. საქართველოში კი იგი მეტად რთულიც არის. ჩვენს რესპუბლიკაში ინტენსიურად არის განვითარებული მევენახეობა, მეჩაიეობა, მეთამბაქოობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა. გარდა ამისა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი რაოდენობით აწარმოებენ ბოსტნეულს, აბრეშუმის პარკს, შაქრის ჭარხალს, ეთერზეთებს, კეთილშობილ დაფნას, ტუნგოს ზეთსა და სხვა პროდუქტებს. საქართველოს ბევრი რაიონი კი მთაგორიანია. სახნავ-სათესი ფართობის და სავარგულების დიდი ნაწილი განლაგებულია მთიან ადგილებში.

მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი მის მთიან რაიონებში, მეტად დაბალია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, და უმეტესად ხელით შრომაა გამოყენებული.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს ყოველწლიურად ემატება, მაგრამ ბევრი ტექნოლოგიური ოპერაცია, რომელიც უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანას სჭირდება, მაინც ხელით სრულდება.

საქართველოს მეცნიერებისა და კონსტრუქტორების ყოველდღიური საზრუნავი ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების სისტემის შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ძირითადი ტექნოლოგიური პროცესის კომპლექსურ მექანიზაციას, დაწყებული ნიადაგის დამუშავებით, დამთავრებული მოსავლის აღებითა და პირველადი გადამუშავებით. ეს კი ნიშნავს ხელით შრომის მაქსიმალურად შემსუბუქებას.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციის თანმიმდევრული განხორციელება საშუალებას გვაძლევს ქალები გავათავისუფლოთ ხელით მძიმე შრომისაგან, უფრო ფართოდ მოვიზიდოთ ისინი მეურნეობის წარმოებაში ტრაქტორისტ-მემანქანეებად, მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორებად, მსუბუქი მანქანების მძღოლებად.

სსრ კავშირის ბევრ სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალებს ფართოდ გამოიყენონ ქალები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, მიიღონ ისინი სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად — სასოფლო-სამეურნეო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. საბჭოთა მთავრობის მიერ დამტკიცებულია იმ სამუშაოებისა და მექანიზმების სია, სადაც რეკომენდებულია უპირატესად ქალთა შრომის გამოყენება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ტრაქტორისტ-მემანქანე ქალებს, უპირველესად, უნდა მიეცეთ ისეთი ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომელთაც აქვთ საჯდომის, კაბინების, ძრავის ავტომატური გაშვების ხელსაწყოთა უფრო სრულყოფილი კონსტრუქციები და, რომლებიც აკმაყოფილებს ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ერთიან მოთხოვნებს შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენის დარგში. გარდა ამისა, მექანიზატორ ქალებს, რომლებიც ტრაქტორებსა და კომბაინებზე მუშაობენ, 10 პროცენტით ნაკლები ნორმა აქვთ დადგენილი, მეურნეობის საერთო ნორმასთან შედარებით.

დღევანდელი თაობა სახელოვნად აგრძელებს მექანიზაციის პიონერების — პაშა ანგელინას, დარია გარმაშის, თამარ სახლთხუციშვილის, სოფიო უსენაშვილის, ელენე ნატროშვილისა და სხვების ტრადიციებს. ამ ღვაწლმოსილი ადამიანების სახელების გვერდით მოიხსენიება მედეა ლატარიას, ემინე ზაქარიაძის, მზია ბუთბაიას, სევა არჯევანიძის, ნაზიბროლა ხასაიას სახელები.

დიდია ქართველ მეჩაიეთა შრომის შედეგები, მათი წვლილი რესპუბლიკის გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში. სოფლის მეურნეობაში მომუშავე მექანიზატორი და მძღოლი ქალების შრომის შესამსუბუქებლად სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დავალებით გამოშვებულია მრავალი ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი ამორტიზებული საჯდომებით, რომლებიც საშუალებას იძლევა რეგულირება მოვახდინოთ ტრაქტორისტის წონისა და სიმაღლის შესაბამისად. ამ მანქანებს აქვთ აგრეთვე ხმაურჩამხშობი მოწყობილობა, რომელიც ამცირებს ხმაურს და ვიბრაციას მძღოლის სამუშაო ადგილზე.

თანამედროვე კონსტრუქტორი კარგად ფლობს აგრეთვე საინჟინრო ფსიქოლოგიას, რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია შეიქმნა ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, მედიცინის, ანთროპოლოგიის, ბიოლოგიისა და ტექნიკის მეცნიერებათა ურთიერთშეკავშირებით. იგი შეისწავლის ადამიანისა და მექანიზმების ურთიერთმოქმედებას მუშაობის პროცესში და იმ მიზანს ემსახურება, რომ ადამიანის შრომა გახდეს მწარმოებლური, მსუბუქი და შემოქმედებითი.

საინჟინრო ფსიქოლოგიის გამოყენებითა და ქალის ფიზიოლოგიის გათვალისწინებით ბევრი სასოფლო-სამეურნეო მანქანა შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი რესპუბლიკის კონსტრუქტორებიც არ დარჩენილან ვალში. მათ დააკონსტრუქტორეს და შექმნეს მრავალი მანქანა, რომლებიც გათვალისწინებულია ხელით შრომის შესამსუბუქებლად. ასეთ მანქანებს მიეკუთვნება „თამბაქოს ფურცლების ზონარზე დამამაგრებელი მანქანა ტპმ-69 მ“, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს მწვანე ფოთლების ზონარზე დასამაგრებლად (მათი გაშრობის მიზნით). ამ მანქანის გამოყენება შეიძლება ყველა რაიონში, სადაც კი თამბაქო მოჰყავთ. მანქანა სტაციონალურია, იდგმება თამბაქოს საშრობ ფარდულებში. მისი წლიური სახალხო-სამეურნეო ეკონომიური ეფექტი 385,37 მანეთს შეადგენს.

„წეკოს ღეროების საჭყლეტი მანქანა პმ-1“ აჩქარებს შრომის პროცესს. ის წეკოს ღეროებს გრძლივად ხლეჩავს. ტექნოლოგიური პროცესი სრულყოფილად სრულდება. მანქანა ადვილად გადასატანია და იდგმება წეკოს საშრობ ფარდულებში. ამ მანქანის გამოყენებით შრომის მწარმოებლობა 2,4-ჯერ იზრდება. წლიური სახალხო-სამეურნეო ეფექტი კი 977 მანეთს შეადგენს.

„წეკოს ამღები მანქანა მუმ-1“ განკუთვნილია 8°-მდე დახრილ ფერდობებზე დარგული წეკოს ნაყოფის მოსაჭრელად, ნიადაგზე მის დასალაგებლად და დასაჭკნობად. ამ მანქანის გამოყენებით შრომის მწარმოებლურობა 33-ჯერ იზრდება და ექსპლოატაციური დანახარჯები 3-ჯერ მცირდება. იგი კარგად ასრულებს ტექნოლოგიის პროცესს და აქვს დიდი სახალხო-სამეურნეო ეფექტი — 2155,41 მანეთი.

ჩაის შპალერულად სასხლავი ხელის აპარატი „აშპ-76“ განკუთვნილია ტრაქტორმიუდგომელ და მცირეკონტურიან ნაკვეთებზე ჩაის პლანტაციების შპალერულად სხვლისათვის. აპარატის მუშა ნაწილები ისეა გაწონასწორებული, რომ ვიბრაცია ნორმამდე შემცირებულია. ამ აპარატის გამოყენებით წლიური სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტი 408.22 მანეთია.

ხელის ვიწრომოდელიანი სასხლავი აპარატი „რჩა-350“ გამოიყენება ფერდობებზე, ჰაღრაკულად განლაგებულ და პატარა ფართობებად დაქუცმაცებულ ჩაის შპალერების გასასხლავად. აპარატი გაკეთებულია

იაპონური ტიპის სასხლავების მსგავსად და ჩაის გარდა სხვა სახის ბუჩქებსაც ასწორებს და სხლავს. მისი ეკონომიკური ეფექტი 697 მანეთს შეადგენს.

ხელის მოტორიზებული აპარატი „პპმ-05," გამოდგება ფერდობებსა და ტრაქტორმიუდგომელ ნაკვეთებზე გაშენებულ პლანტაციებში ჩაის ბუჩქების ნახევრადმძიმე გასხვლისათვის. აპარატის გამოყენება შეიძლება აგრეთვე ბუჩქების გვერდითი გასხვლისათვის. მისი სამეურნეო ეკონომიკური ეფექტი 76,7 მანეთს შეადგენს.

ჩაის საკრეფი მანქანა „ჩა-0611" 20°-მდე დახრილ ფერდობებზე განლაგებულ ჩაის ბუჩქებზე კრეფს ფოთოლს, ადრე არსებულ ჩაისსაკრეფებთან შედარებით ეს საკრეფი დაკიდებულია სამთო-თვითმავალ შასი-„სშ-0611"-ზე რომელიც საშუალებას იძლევა მთიან რაიონებში, სადაც უფრო მეტად არის ხელით შრომა გავრცელებული, მოიკრიფოს ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ მანქანის გამოყენება წელიწადში 7453 მანეთის სახალხო-სამეურნეო ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

კულტივატორ-მკვებავი „კრგ-2", რომელიც ეკიდება „სშ-0611" შასზე, საშუალებას იძლევა ჩაის რიგთაშორისები დამუშავდეს 20°-მდე დახრილობის ფერდობებზე. იგი დიდად ზრდის შრომის მწარმოებლურობას, ათავისუფლებს მშრომელებს მძიმე სამუშაოსაგან, ამცირებს შრომითს დანახარჯებს და წელიწადში გვაძლევს 6505ჩ მანეთის ეკონომიკურ ეფექტს.

ჩვენს რესპუბლიკაში, მეათე ხუთწლედის ბოლოს, მექანიზატორთა შრომის შესამსუბუქებლად ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდება. შემუშავების პროცესშია და მალე დაინერგება რამდენიმე მანქანა-იარაღი, რომლებიც გათვალისწინებულია ქალის შრომის შემსუბუქებისათვის. მაგალითად, „ჩაის მძიმედ სასხლავი აპარატი, მოჭრილი ღეროების დაქუცმაცებით „არდ-1" უმძიმესი პროცესიდან გამოათავისუფლებს ქალებს. იგივე პროცესის შესასრულებლად არის განკუთვნილი ხელის „მძიმე სასხლავი აპარატი არტ-0,2", რომელიც გამოიყენება ვიწროკონტურიანი და ტრაქტორმიუდგომელი ჩაის პლანტაციების გასასხლავად, „თამბაქოს ფოთლებისმომცლელი მანქანა მტს-1", „თამბაქოს ყვავილებისმომცლელი" და სხვა. ყველა ამ მანქანის წარმოებაში დანერგვა დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს და გააიოლებს ქალთა შრომას.

ქალთა შრომას დიდად შეამსუბუქებს ტუნგოს საწმენდი მანქანა „ტობ-71", დაფნის ღეროების მოსაჭრელი მანქანა „ლპმ-1", ვენახის სარგავი მანქანა ВПМ-2", მცირე ცვლილებების შედეგად ტუნგოს საწმენდი მანქანა „ტობ-71" კარგად არჩევს ნუშს, ბერძნულ კაკალს, ჭერამს, ატამს, ალუბალს, ბალს, ქლიავს, ალუჩას, მათი კურკების გულისაგან ამზადებენ მასალას სამედიცინო წამლების, კვების პროდუქტებისა და პარფიუმერიის საჭიროებისათვის. ეს მან-



ჩაის საკრეფი აპარატი



ჩაის მძიმე სასხლავი აპარატი



ნახევრად მძიმე სასხლავი აპარატი

ტუნგოს საწმენდი მანქანა





წეკოს ღეროების საჭყლეტი მანქანა

ქანები გამოიყენება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 1980 წელს დაინერგება მონორელსური ავტომატური ტრანსპორტიორი. იგი გამოიყენება ვიწრო ადგილებსა და ტრაქტორისათვის მიუვალ ციცაბოებზე ციტრუსების მოსავლის ტრანსპორტირებისათვის, შეწამვლის, სასუქების შეტანის და სხვა ოპერაციებისათვის.

ვაქციოთ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილებად — ეს იმას ნიშნავს, რომ ავამოქმედოთ ახალი მძლავრი რეზერვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1978 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

**გ. გეთია,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მისი თეთრი „მდინარე"

დილის სისხამზე შემზარავმა ხმამ შეაშფოთა მძინარე სოფელი. მესტიის ჭალაში ორი ქალი სასოწარკვეთით გაჰკიოდა: „არიქა, გვიშველეთ, ალექსანდრე მდინარემ გაიტაცაო!". მდინარე ღრიალით მიაქანებდა თავის მსხვერპლს. რიფსიმე ბარბაცით მირბოდა, გამწარებული იძახდა: გვიშველეთ, გვიშველეთო, მაგრამ მშველელი არვინ ჩანდა. როცა საკმაო მანძილი გაირბინა, დაიღალა, მუხლები მოეკვეთა და დაეცა.

ცარუმ ერთი კი გადაავლო თვალი მიწაზე გართხმულ დედას, მაგრამ დრო არ ითმენდა და ვეფხვის ნახტომით გაეკიდა მამას. როცა მდინარის სიჩქარეს გაუსწრო, დაელოდა, როდის გამოაქანებდა ტალღა მსხვერპლს. აი, გამოჩნდა, გადაღლილი ხელები მაღლა აუწევია, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის, ტალღები ისევ მძლავრად მიაქანებს.

ცარუმ, როგორც კი გაუსწორდა მამას, ელვისებური სისწრაფით ისკუპა მდინარეში და გაერია აქაფებულ ტალღებში, სადაც ლანდად მოჩანდა სულთმობრძავი მსხვერპლი. ქალი ჩქარობდა, რომ მდინარისათვის გამოეტაცა მამა.

ცარუ მაშველს ელოდა, მაგრამ არავინ ჩანდა. ვიდრე სამშვიდობომდე გააღწევდა, ახალი ტალღები უფრო ძლიერად სცემდა და ცარუ კლდეს მიახეთქა. ცარუს დედაც მიეშველა და ოჯახის მარჩენალი გამოიყვანეს. როცა სული მოითქვა, სახეზე წვა იგრძნო და ხელი მოისვა. ყბიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა. იგრძნო, რომ სახე სერიოზულად დაუზიანდა, მაგრამ გულში უხაროდა. მან მამა სიკვდილს გადაარჩინა.

ცარუს მშვენიერი სახე დაუმახინჯდა.

სოფელში ხმა დაირხა ცარუს სიმამაცეზე. მეოთხეკლასელმა წყალწაღებული მამა გადაარჩინაო. ცარუს გულს ორნაირი გრძნობა დაეუფლა — მამის გადარჩენის სიხარული და ნაღველი ფიზიკური ნაკლის გამო. ამ დღიდან მტკიცედ გადაწყვიტა ბეჯითად ესწავლა, კარგი სწავლით დაეფარა სახის ზადი. საშუალო წარჩინებით დაამთავრა. მაგრამ, უმაღლესში მოწყობამდე მამა გარდაეცვალა. ცარუ სოფელში დარჩა, დედასთან და ძმასთან ერთად იტვირთა ოჯახის ჭაპანი:

ცარუმ მიზნად საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა დაისახა. 1957 წელს მესტიის კოლმეურნეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა და პირველსავე წელს დაწინაურდა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ცარუ ფალიანი რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

1958 წელს მოპოვებული წარმატებებისათვის რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მესტიის რაიონული საგამოფენო კომიტეტის ქების სიგელით დააჯილდოვეს. 1970 წელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების მეასე წლისთავზე შრომითი მამაცობისათვის მედალი მიიღო. ამას მოჰყვა სხვა მედლები და სიგელები, შემდეგ შრომის დიდების ორდენი.

მეხუთე წელია, რაც მესტიის რაიონის კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გარდაიქმნა. სოფლები — მესტია, ლენჯერი და ლატალი გაერთიანდნენ. სამუშაო პირობებიც გაუმჯობესდა, ცარუ ფალიანსაც უფრო გაუადვილდა მუშაობა. 25 წელი მუხლჩაუხრელად შრომობს ცარუ და გადაჭარბებით ასრულებს როგორც წველადობის, ისე ხბოების გამოზრდის გეგმას. 135-140 ლიტრი რძე, რომელსაც ყოველდღიურად წველის, ეგზავნება დაბა მესტიის ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, საავადმყოფოს და ქარხანას...

მეურნეობის ფერმა კაპიტალურია, ნაკელის გატანა და დარწყულება მექანიზებულია, ფერმა, სადაც 520 სული პირუტყვიდან 273 ფურია, თავისი შესანიშნავი მაჩვენებლებით თვალსაჩინოა რაიონში, ეს იმიტომ, რომ იქ შრომისმოყვარე, თავდადებული მუშაკები არიან. ცარუ ფალიანმა მეათე ხუთწლედი სამ წელიწადსა და სამ თვეში შეასრულა. შარშან მარტის ბოლოსათვის 2500 კილოგრამით გადააჭარბა ხუთწლედით დასახულ გეგმას. იმავე წელს მიიღო და შეინარჩუნა 17 ხბო და 8030 კილოგრამით მეტი რძე მოწველა.

ცარუ ფალიანი მეათე ხუთწლედის გმირია, ამჟამად კი, ამ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, მეთერთმეტე ხუთწლედში ცხოვრობს და შრომობს.

მას ამ შრომაში ფრთას ასხამს სამთო მეცხოველეობის განვითარების პრობლემები, მისი სირთულეებით, მომავლის პერსპექტივები, რომლებიც საქართველოს ხელმძღვანელობამ დაუსახა მაღალმთიან სვანეთს. სიძნელეების არ ეშინია ცარუს. მას გვერდში უდგას ახალგაზრდობა, რომელსაც ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა. ესენი არიან — ვერა ფალიანი, მერი მარგიანი, გულნარა ხერგიანი და სხვები.

ძალა ერთობაშიაო, და ამ ძალას ყოველთვის გრძნობს მწველავი ზემო სვანეთში.

**რ. ნავერიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნედლი სალამურები

## მიწა

ვით მშვენიერი პატარძლის კაბა
მზემ მოისროლა ჭრელი მერდინი
და ინვა მიწა, სურვილით სავსე,
მკვრივი კერტებით და მოთენთილი.
ბალახის თმებში იბნევდა იებს,
გადახსნილიყო ცის ლურჯი კარი,
სხვაგვარი ვნებით იწვოდა მიწა,
მარადიული მშვენება ქალის.

## მთის ბილიკზე

რაც უფრო მაღლა მივდევდი ბილიკს,
მით უფრო მაღლა იწევდა ზეცა,
მზეს გაეშალა სხივთა მარაო
და ჩალისფერი სამოსი ეცვა.
რაც უფრო მაღლა მივდევდი ბილიკს,
მით უფრო ქვევით რჩებოდა მიწა,
როგორც დამთვრალი, ლურჯი ხომალდი,
ფეხთან ბალახი ნელა დაირწა.
მე მივყვებოდი დაგრეხილ ბილიკს
და ჩემს ფეხებთან ზაფხული ინვა.

## სიმარტოვის დღესასწაული

დადუმდა მიწა მთვარისფერ სევდით,
მთვარისფერ სევდით გადაზაფრული,
აგონდებოდა ამო ტკივილით
ხის აკვირტება და გაზაფხული.
და როგორც ზანგ ქალს საყურე ერთი,
ფერად ყვითელი და სასწაული,
ეკიდა რტოზე ფოთოლი მჭკნარი,
ვით სიმარტოვის დღესასწაული.

## ორი უსათაურო

* * *

შენ ვით შეგეძლო
ჩემი ლექსის სულით შეხება,
მე შენთვის ვიყავ მხოლოდ გოგო
კნაჭა ფეხება.
შენ ვით შეგეძლო
დამთვრალიყავ იების სუნით,
ო, შენ არ გქონდა, შენ არ გქონდა
პოეტის სული;
რა გვიან მივხვდი,
გულს ეწერა სახელიც ვისი,
რომ სულ არ იყო, სულ არ იყო
ოცნების ღირსი.

* * *

როცა შემოხვალ მარტოობის უფერულ ტაძარს
და მიუწვდომელს როცა მისწვდები,
დაგავიწყდება ჩემი ლექსები
და მეც სულ ისე დაგავიწყდები.
მე ავტირდები, წამოვალ წვიმად,
ცა ყვავილებით მიწას დაფარავს,
გავა დრო, მაინც ინანებ ბოლოს
ერთი სულელი გოგოს დაკარგვას.

მაყვალა გონაშვილი

## ბინული

სტვენა-სტვენით ავედევნე ბინულს,
ნეშოები უფენია გულში,
ალივლივებს სიფრიფანა ყინულს,
და სარკეებს — ტირიფების ტუშით.
ხიდბოგირზე მიახვავებს ფიჩხებს,
მისრიალებს, აკრიალებს ძელქვას,
ისე ხარობს, ისე ლაღად მიჩქეფს
უკვდავების წყარო უნდა ერქვას.
ირაკრაკე ნაკადულო ჩემო,
გაახარე ვაზი, ყანა, მწყემსი,
გენაცვალე, სიმღერაშიც შემო,
რა ხალასი ფერებია შენში!

## უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

განმარტოვებულ ობოლ საფლავთან
ვდგევარ თავდახრილი,
ზეიმობს აპრილი...

გამშრალ ღაწვებზე ჩამომდის ცრემლი
დარდით მონაწური,
ჩემ წინ ასვენია უ[illegible]ლა მეომარი
საფლავდაკარგული.

ტყვიების წვიმაში შე[illegible]გდენია
დედის და სატრფოს ცრემლები წმინდა,
ყველა დაკარგულის ობოლი საფლავი
ცრემლებით დავალბო მინდა.

სამარადისოდ გიძმობს და გიშვილებს
შენი მშობლიური მთა-ბარი,
გდარაჯობს მთაწმინდა, ცამდე აზიდული
ტოტებგადაშლილი ჭადარი.

დღით ნანას გიმღერის მნათობთ მნათობი,
ღამით — სხივები — ვერცხლის,
ო, რა დიდი და რჩეულთ ხვედრია
მარად უქრობი ცეცხლი!

თამარ კერესელიძე,
პედაგოგი.

## ჩემი სათავე

გული ხარობს ქედების და ჭალების ორხედით,
აჰა, ჩემი სათავე — იბერია-კოლხეთი,
მათ ალერსში მრავალი ქარ-ნიავი მობერდა,
მათ ალერსში მრავალი ღამე გაოქროსფერდა.
ორბისფერი მამული, ხოხბისფერი დედული,
ჭალისპირას წყლებია ზეცით განათებული.
ზუზუნებენ ფუტკრები და ოცნებას თაფლავენ,
მოდი ლალი, ყვავილთა ცეცხლით დამასაფლავე!
მოდი, მოდი, ტორტმანებს ველი ქართა კიჩოთი,
გულზე თმები დამფინე, როგორც წინათ იცოდი.
გული ხარობს ქედების და ჭალების ორხედით,
აჰა, ჩემი სათავე — იბერია-კოლხეთი.

## დაფნა

ნაბოლარა დაიკონა ნარგავებში დაქრის,
შრიალია, სურნელია მშობლიური დაფნის.
ტყვიისფერი შიმელებით შემიმოსა შუბლი,
ამ ტოტისთვის ახლაცაა პოეტებში შუღლი.
ამ ტოტებქვეშ დამარწია თურმე დედამ აკვნით,
შრიალია, სურნელია მშობლიური დაფნის.
დამემოყვრა მისი ფერი, ფერი მწვანე, ლეგა,
მისი სუნთქვა, მისი ბორგვა სულში ჩაიღვენთა.
მზე მიცურავს კაბადონზე, ოქროს მცხრე თვეა,
ჩემი გული მესხეთიდან ლურჯ კოლხიდამდეა.
იმერეთით, ხევსურეთით, სვანეთით და რაჭით,
გურიით და ჯავახეთით და კახეთის მაჯით,
აფხაზეთით და აჭარით, ქართლის სადა ფერით,
სამეგრელოს ლაჟვარდების მწიფე სადაფებით,
მთვრალი ვარ და ქარტეხილმა სული ამიაფრა,
ჩემს დიდებას ეკმარება საქართველოს დაფნა.

გულადი ფეტელავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე

ამჟამინდელი ბარათაშვილის ქუჩა ძველ თბილისს დასავლეთის კედლით ზღუდავდა, რომელიც დროთა ვითარებაში მინაშენების საყრდენად იქცა და ფარდულ-დუქნებით დაიფარა.

რამდენი შრომა, უძილო, ფიქრიანი ღამე იყო საჭირო, რათა პატარა, მახინჯი, მიყრილ-მოყრილი ნაგებობა-ფარდულებით ჩაჩიხული ქუჩები გაწმენდილიყო და თავისი ხასხასა ძველებური ნამდვილი იერფერი მიეღო კოპწია აივნებით, ქორედებით, თაღებით, აღდგენილი კოშკებით, დაკბილული კედლებით, რომელშიც შეინიშნება ძველთბილისელ მშენებელთა დახვეწილი გემოვნება, გამოცდილება, ტრადიციები, ასე რომ შეერწყნენ ახალი თბილისის მაჯისცემას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, უყურადღებოდ მიტოვებული თბილისის ძველი უბნები უკანასკნელ პერიოდში დიდი ზრუნვის საგნად იქცა. და ეს არ არის რომელიმე ცალკეული ენთუზიასტისა თუ ქველმოქმედის ინიციატივა. ეს გახლავთ დიდი სახელმწიფოებრივი საქმე, გაგრძელება და ხელშესახები ფაქტი ლენინური დეკრეტებისა, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ყველა იმ მონაპოვარს, რომელიც მშრომელი ხალხის შემოქმედებითს გენიას საუკუნეების მანძილზე შეუქმნია.

ისე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების მრავალ სფეროში, ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენებისა და დაცვის საქმე ახალ სიმაღლეზე ავიდა, რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს მთავრობამ არაერთი გადაწყვეტილება, დადგენილება, კანონი მიიღო მატერიალური კულტურის ძეგლების წარმოჩენისა, დაცვისა და მისი შემდგომი გამოყენებისათვის, ახალგაზრდობის ესთეტიკური, ზნეობრივი, ინტერნაციონალური გრძნობით აღზრდისათვის. ამ დადგენილებათა შორის განსაკუთრებული საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

დადგენილებაში მთელი პარტიული სიღრმით გაანალიზებულია როგორც წარმატებები, ისე ნაკლოვანებები და დასახულია მასშტაბური ღონისძიებები.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, რომელსაც აქვს მძლავრი ძირეული რგოლები საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის თბილისშიც.

მთავარმა სამმართველომ, რომელსაც სათავეში უდგას ქართული ხელოვნების ცნობილი მკვლევარი-სპეციალისტი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი, გარს შემოიკრიბა არქიტექტორ-რესტავრატორების, არქეოლოგების, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტები და იმედისმომცემი ახალგაზრდობა.

მთავარმა სამმართველომ ზემდგომი ორგანოების აქტიური მხარდაჭერით თავს იდო რთული და შრომატევადი მისია: გაეანალიზებინა ის მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენმა მეცნიერებამ შექმნა წლების განმავლობაში კულტურის ძეგლთა წარმოჩენისა და დაცვისათვის, გამოეძებნა ახალი ხერხები და საშუალებანი, მეცნიერულად დაემუშავებინა მეთოდიკა ძეგლების აღრიცხვის, ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლისა და მომავალში გაშლილი მუშაობისათვის, ამავე დროს მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის საქმე ჭეშმარიტად სახალხო საქმედ ექცია, ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში გაეერთიანებინა არა მარტო ცნობილი სპეციალისტები, არამედ ენთუზიასტების მრავალათასიანი რიგები, რომლებისთვისაც ძვირფასია ჩვენი მრავალ ქარიშხალგამოვლილი დედაქალაქის წარსული, მისი ხუროთმოძღვრება, ტრადიციები, მისი განუმეორებელი კოლორიტი.

მთავარმა სამმართველომ, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თბილისის კულტურის ძეგლების შესწავლა-დაცვის საქმეს. აქ გათვალისწინებული იყო აგრეთვე ქარ-





თველი არქეოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, რესტავრატორთა განხორციელებული სამუშაოები, რომელთა წინაშე წლების განმავლობაში ასე გაიხსნა გული ჩვენმა დედაქალაქმა. ჩვენ წინაშე გადაიშალა თბილისის წარსულის მრავალი საინტერესო ფურცელი.

უკვე რამდენიმე წელია, თბილისსა და მის შემოგარენში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა უარყო ლამაზი ლეგენდა ვახტანგ გორგასლის ხოხობზე ნადირობისა და აქ, უდაბურ ადგილას გოგირდოვან წყაროებთან ქალაქის მშენებლობის დაწყების შესახებ.

მრავალი წლის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ თბილისის უძველესი რაიონები — კალა და ისანი დასახლებულია გვიანი ბრინჯაოს ხანიდან და ამდენად ძველ თბილისს, როგორც დასახლებულ პუნქტს, 30 საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ხოლო დღევანდელი თბილისის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები ექვსი ათასი წლისაა.

გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ და მხედართმთავარმა ვახტანგ გორგასალმა სწორად შეაფასა იმდროინდელი თბილისის მზარდი ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული უპირატესობანი მცხეთასთან შედარებით და იგი სამეფოს დედაქალაქად აქცია. ვახტანგის დროს აქ დაიწყო ინტენსიური საქალაქო მშენებლობა და შემდეგში თბილისი არა მარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს დედაქალაქი, მისი გული გახდა.

ქალაქის გადედაქალაქების შემდეგ აქ აიგო ბევრი მნიშვნელოვანი სამხედრო თუ საკულტო ნაგებობა, რომლებიც შემდეგში ქალაქთან ერთად მრავალი დამანგრეველი დარტყმის ობიექტი ხდებოდა, რასაც კვლავ განახლება-აღდგენა მოსდევდა. ეს, რა თქმა უნდა, ართულებს სპეციალისტ-რესტავრატორთა საქმიანობას, მიუხედავად ამისა, არა ერთ ძეგლს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე (ერთ-ერთია უძველესი ანჩისხატის ეკლესია). არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გამომზეურდა და გაიწმინდა მოზრდილი ტაძრის მანამდე მიწით დაფარული ნაშთები დედაციხის მისადგომებში. მიუხედავად ნგრევისა და დამახინჯებისა, ახლად გამოვლენილმა ტაძარმა იმთავითვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მით უმეტეს, რომ მას ზოგიერთ ადგილას შემორჩენოდა კარგი ჩუქურთმა, ხოლო უმეტესობა ნატეხების სახით გამოიკრიბა მიწიდან. ის ჩუქურთმები იმდენად ტიპური და მკაფიო გამოდგა, რომ სრულიად უყოყმანოდ შეიძლება მივაკუთვნოთ XII-XIII საუკუნეებს და მიემსგავსება თბილისის მეტეხის ჩუქურთმებს.

შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ ეს ორი საყდარი სიდიდე-აღნაგობითაც ძალიან ჰგავდნენ ერთიმეორეს. ამრიგად, საქართველოსათვის კრიზისულ ხანაში — მონღოლების ბატონობის დროს, სრულიად არახელსაყრელ ვითარებაში, თბილისში მტკვრის გაღმა-გამოღმა ერთიმეორის მოპირდაპირე მაღლობებზე შენდება ორი მონუმენტური ტაძარი, ჯერ კიდევ ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების დონეზე მდგარი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად ავბედობისა — დედაქალაქში ფეთქავს ცოცხალი ხუროთმოძღვრული და მშენებლობითი შემოქმედება.

ამჟამად ხარაჩოებში ზის ე. წ. დარეჯან დედოფლისეული სასახლე, შრომატევადი სამუშაოები მიმდინარეობს კათედრალურ სიონის ტაძარში, რომლის გადარჩენისთვისაც დიდი მუშაობა გასწია ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ. ეს არ არის მხოლოდ უბრალო გამაგრებითი სამუშაოები, მას წინ უძღოდა მეცნიერული სამუშაოები, გაიწმინდა კედლის მხატვრობა, თვალსაჩინო გახდა სიონის მშენებლობის გარკვეული პერიოდები.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძველი თბილისური სახლ-საცხოვრებელთა აღრიცხვის, მოვლა-დაცვისა და შესწავლის საქმეს: თბილისური სახლები თავისი შესანიშნავი აივნებით ქალაქს თავისთავად განუმეორებელ კოლორიტს უქმნის.

თბილისი მუდამ წარმტაცი იყო მთის კალთებზე შეფენილი აივნებით დამშვენებული სახლებით. ბუნებრივმა გარემომ ძველთაგანვე შეამუშავებინა ადამიანს დერეფნის, ქორედის და აივნის ბინის გეგმაში ჩართვის აუცილებლობა. როგორც მკვლევარი კოტე მელითაური აღნიშნავდა, საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ხითხუროებმა არ დაზოგეს თავიანთი უნარი ბინის ამ ნაწილის შესანიშნავად მოკაზმვისათვის. საგულისხმოა, რომ დერეფან-აივნის მარტო უშუალო გეგმაში ჩართვით არ დაკმაყოფილებულა ქართველი მშენებელი და იგი მეტყველი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ელემენტი გახდა, ხის გადმოკიდული და გადახურული აივნის სახით. აივნებს თბილისელი ხუროები განსაკუთრებული სიყვარულით ამკობდნენ.

სწორედ ეს აივნები ამშვენებდნენ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, მთის კალთებზე წამოჭიმულ სახლებს შნოს აძლევდნენ და მთელ ქალაქს საკუთარ მხატვრულ-ხუროთმოძღვრულ იერს ანიჭებდნენ.

ქალაქმშენებლობის მერმინდელმა გზებმა, რამდენადმე უკანა პლანზე გადაიტანა თბილისის ეს მშვენებანი. მთლიანად ქრება ან მასში აღარ გამოსჭვივის ის პირველყოფილი მშვენიერება, რაც მისთვის იყო დამახასიათებელი, მრავალმა მეპატრონემ კი „სასარგებლო ფართის“ გაზრდის მიზნით ან გაალარიბა, ან სრულიად მოაშორა თბილისელ ხითხუროთმოძღვართა ნამდვილი შედევრები.

ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ძველი თბილისის უბნების არა ცალკეულ ნაგებობათა აღდგენა-გამაგრებისათვის, მისთვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს თბილისის მძლავრი რგოლი ამუშავებს და პრაქტიკულად ახორციელებს მთელი უბნების დაცვის აღდგენა-გამაგრების სამუშაოებს თბილისის ამ მშვენებათა შენარჩუნებისათვის.

თბილისის ძველი უბნების, ქუჩაბანდების ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვა-აღდგენის საქმეში ჩაება ენთუზიასტთა მრავალი ჯგუფი, ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი დედაქალაქის ისტორია, ქალაქის ხუროთმოძღვრება, მისი ყოფა, მათი ნამუშაკევი, ასე ლამაზად რომ შეერწყმის თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქის მაჯისცემას.

რა თქმა უნდა, ჯერ ყველაფერი როდია გაკეთებული, არქიტექტორთა, ხელოვნებათმცოდნეების, ისტორიკოსების, არქეოლოგთა წინაშე მრავალი ამოცანა დგას გადასაჭრელი. მრავალათასწლიანი ისტორიის მქონე თბილისი თავისი წარსულით, ჯანსაღი წესებით, შრომისმოყვარეობით, ინტერნაციონალური ტრადიციებით ბევრ ზოგადთეორიულ და კონკრეტულ-პრაქტიკულ საკითხს აყენებს მოსაგვარებლად.

ღრმა და შორს გამიზნულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომლის პრაქტიკული განხორციელება ხელს უწყობს ქალაქის ისტორიული უბნების, მისი ყოფის საინტერესო ტრადიციების განვითარებას, ახალგაზრდობის ესთეტიკური და პატრიოტული აღზრდის საქმეს, ახალ შრომით აღმავლობას, და თბილისელობის კანონიერ სიამაყის გრძნობას, რაც ასე შენივთდა ახალ ბალავარჩაყრილ ტრადიციულ დღესასწაულთან, რომელსაც თბილისქალაქობა ეწოდება.

ირაკლი ზაქარიაშვილი



ნელი ოქროპირიძე 50 წლისაა

# ყრმობის ზღაპრები

ეს გვარი და სახელი შესანიშნავად იციან ჩვენმა პატარებმა. იციან სატელევიზიო გადაცემებით, სადაც ნელი ოქროპირიძე კარგა ხანს ასწავლიდა ნორჩებს ხელმარჯვეობას; უხსნიდა, როგორ შეიძლება აქციო ქაღალდის ნაირფერი ნაკუწები ზღაპრად, ტყეში აკრეფილი ბანჯგვლიანი გირჩი — ოჩოკოჩად, რკოს კაცუნების მთელი ლაშქარი, აცხოვრო ფერადი ცხოვრებით. შექმნა, მოიგონო სიუჟეტები და ეზიარო ხელოვნების იმ მშვენიერებას, ბავშვობაში რომ აციაგდება ხოლმე. ეს, ერთის შეხედვით, თითქოს ადვილია: მხოლოდ ერთი, ერთადერთი ნატვრის ასრულება გნადია — დაბრუნდე უკან, შენი მხიარული მატარებელი გააჩერო სადგურ სიხარულში — სადგურ ბავშვობაში. აილო დიდი, მოხატული მუყაოს კოლოფი, სადაც „ვერცხლის ქაღალდი", ფერადი ბურბუშელა, სირმის და ოქრომკედის ძაფები, ხავერდის ნაჭრები, ნაკუწები, ათასგვარი კოჭები, ნემსები, ქინძისთავები, ნებო სათუთად გილაგია. ზამთრის გრძელ სალამოს ფართო სარკმლიდან შემომზირალ ბინდბუნდში, ფანტელთა შემოფენაში გადმოშალე ეს ყველაფერი დაბალ მაგიდაზე, ტაბლაზე, თბილად მოკალათდი და, აჰა, შედი შენს ზღაპარში. მაგრამ, ვაი რომ, მხოლოდ სურვილი არ კმარა. ხელმარჯვეობასთან ერთად, უპირველესად ფანტაზია, ფერადი ხედვა და იმ მასალის სიყვარული და ცოდნა უნდა გქონდეს მომადლებული, რომლითაც მუშაობ, რომელსაც ქმნი. დიახ, ეს სიყვარული რომ არ გქონდეს, სხვანაირად ვერ წახვალ კვირადღეობით „ლაშქრად", ქალაქის შემოგარენში, დილომში, წყნეთში, კრწანისში, სეიდაბადზე, ნავთლუღსა თუ ავჭალაში. ვერ დაიხრები შემოდგომის ბალახებში „განძის" აღმოსაჩენად, ვერ აავლებ თვალს დაყურსულ ნაძვნარს, ლურჯად გადაფითრებულ ფიჭვიანს, ვერ შეხედავ გულისთქმით ტყის საჩუქარს, ნობათს სანუკვარს. სიყვარული, კვლავ სიყვარული გაძებნინებს ამ საუნჯეს. გულისთქმის თვალს გავლებინებს სასწაულ მინდორსა და ტყეში. მერე საკუთარ ბინაში მოგდევს ეს სურნელი, სახლდება შენთან და იქნებ სიზმრადაც განვალებს. და სანამ გძინავს, დაფიქრებულნი ელიან შენს ხელებს, შენს უნარს, შენს ფანტაზიას ტყის კაცუნები, ნაზი ელფები, მოცეკვავენი, რომ უთენია წამოდგე, თითქოს ჯადოსნური ხელი შეავლო, თვლემიდან გამოიყვანო და სიხარულით აალაპარაკო, ენა ჩაუდგა.

ნელი ოქროპირიძისეული ტყის ნობათი არაერთხელ გვინახავს გამოფენილი — აქაც, ჩვენთან, საქართველოში, საბჭოთა კავშირის დედაქალაქშიც და საზღვრებს გარეთაც. შთაბეჭდილებათა წიგნები ლაპარაკობენ იმ სიხარულზე, რაიც არაერთხელ მოუტანა ამ გამოფენებმა დიდებსაც, პატარებსაც. და ხელოვნების დიდი მისიაც ხომ სიხარულია.

ნელი ოქროპირიძე პირველად ქანდაკებაზე მუშაობდა. მისი პირველი ნამუშევარი „დედაშვილობა" გახმაურდა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მოქანდაკე ქალი მწერლობაში და კერძოდ დრამატურგიაშიც მოვიდა როგორც საბავშვო თემის ავტორი. წერდა მოთხრობებს, თვითონვე აფორმებდა მხატვრულად, მუშაობდა მულტიპლიკაციურ ფილმებზე, დიაფილმებზე. და, რაც მთავარია, ეს იყო ენერგია, დაუცხრომელი, მაძიებელი. ამ ძიების დღევანდელი შედეგი ჯერჯერობით საკუთარ ბინაში აქვს გამოფენილი. მასალა, რომელიც პეიზაჟებში დომინირებს, გახლავთ... კორპი. უნდა საკუთარი თვალით იხილოთ, რომ ირწმუნოთ ის მაქმანური, ქაფისებური სიმსუბუქე, რაიც ახლავს ამ ორიგინალურ პეიზაჟებს, ისინი უმთავრესად საქართველოს ცნობილ ციხე-დარბაზებს, ციხე-სიმაგრეებს, ტაძრებსა და გალავნებს გვაცნობენ. ეს არის ერთგვარი ორიგინალური ასლები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებისა. ასლები, სადაც დაცულია სიზუსტე და ამასთან ერთად იგრძნობა პოეზია, ზოგჯერ პირქუში, ზოგჯერ ჰაეროვანი...

ნელი ოქროპირიძე, ამასთან ერთად, ხალისიანი იუმორისტია. შეუძლებელია ღიმილის გარეშე დაათვალიეროთ მის მიერ შექმნილი კარიკატურები, შეზავებული ასევე სხვადასხვა მასალით, ალსავსე მახვილგონიერებით. დიახ, სიამოვნებით დაათვალიერებთ მხატვრის ბინაში ამ ფერადოვნებას, და აუცილებლად ეტყვით მადლობას სიკეთისათვის, სიცოცხლის სიყვარულისათვის.

ნაზი კილასონია



თხა და გიგო



ცნობისმოყვარენი



ჩემი ნეზიერა



მეტეხი

დიონისეს მონასტერი



ამინ ჟაფირი

# დედა

მოთხრობა

მხატვარი ელისო ცაბაძე

ქალმა უკან მიიხედა. სოფელი ნისლით იყო დაფარული და არა ჩანდა. გაიფიქრა: „მზე რომ ამოვა, ნისლი მაშინვე გაიფანტებაო“. ქალს უნდოდა ნისლის გაფანტვამდე გასცლოდა აქაურობას, მაგრამ განთიადი უკვე აფერადებდა ცას და ვირიც ისე ნელა მიჩაქჩაქებდა, რომ ეს სურვილი სურვილად რჩებოდა. გზამ ნათესებში გადაუხვია. ქალმა თავის ბიჭს სახრე მისცა ხელში: „კისერში მოსცხე. ვირი ნათესებში არ გადაუშვაო“.

ბიჭი მთას გასცქეროდა. მთის კალთებზე ნისლი საპნის ქაფივით მისრიალებდა. მზე თანდათან ამოდიოდა. ნისლი კი სულ დაბლადაბლა ეშვებოდა, თხელდებოდა, ილეოდა და მერე მთლიანად ქრებოდა, თითქოს სულაც არ ყოფილაო.

ქალი მშვიდად განაგრძობდა გზას. მერე უკან მიიხედა. სოფელი საცოდავად დაპატარავებულიყო. ალვის ხეებიც კი აღარ ჩანდა. გრილოდა, ქალს ფიქრი აბეზარი მწერივით აკვიატებოდა.

— დახე, რა კარგად ამობიბინებულა საფარის ჯეჯილი! — უთხრა შვილმა.

ქალმა თვალი გადაჰკრა ყანას. ხორბალი ბღუჯა-ბღუჯად ამოსულიყო ნახნავში. ფიქრი ისევ მთის გაღმიდან ამოწვერილ მზისკენ გაექცა. შემდეგ შვილს მიუბრუნდა:

— წრფელი გულისათვის სწყალობს ბუნება.

— როგორი გულისათვის?

— წრფელი გულისათვის.

ბიჭმა ვერაფერი გაიგო. არც ძალა დაუტანებია თავისთავისათვის. ახლა სხვა ბორცვებს შორის მიდიოდნენ. ბიჭს თავპირი შალით ჰქონდა შეხვეული, მხოლოდ თვალებიღა მოუჩანდა. თავი მამასახლისის ბუხარივით უხურდა. დროდადრო მიუბრუნდებოდა და უყურებდა ფიქრში წასულ დედას, რომელსაც ცრემლები ჩამოხდიოდა.

ბიჭმა იცოდა რაც აწუხებდა დედას. ქალი ყურადღებას არ აქცევდა შვილს, მიდიოდა, ფიქრობდა და ტიროდა — ჩუმად ტიროდა. ბიჭი ძალიან გულჩვილი იყო. ადრე, როცა დედამისს თვალზე ცრემლები მოადგებოდა სახლიდან გადიოდა, წყაროს პირას ან ქათმის ბუდესთან ჩამოჯდებოდა და ჩუმად დაიწყებდა ტირილს. ახლაც შეტრიალდა, მზეს შეხედა და კარგა ხანს აღარ მოაცილა თვალი. მთის კალთაზე ლაღად მონავარდე ქედნების გუნდი დაინახა. უცბად კარგ გუნებაზე დადგა. ქედნებთან ნავარდი მოუნდა, მათთან ზეცაში ფრენა. დედის დანახვა კი არ უნდოდა, უფრო სწორად — აცრემლებული დედისა. ამიტომ ისევე ქედნებს აედევნა ოცნებით. მერე გული შეეკუმშა. მოაგონდა გუშინწინ როგორ მოკლა მამასახლისმა თოფით ოთხი ქედანი. შეეცოდა ქედნები, თან გაიფიქრა: „ქედნებს თავს აწყვეტენ, როცა კლავენ, ადამიანებს კი არაო“. მამამისი სრულიად მთელი ჩააწვინეს საფლავში. პირველად ხუმრობა ეგონა ყველაფერი. მთელი ღამე უცდიდა მამას, მამა კი არ მოვიდა, არც დილას გამოჩნდა. მერე თავიანთი ყოყლოჩინა მამალიც დაკლეს, მაგრამ არც იმის საჭმელად მოვიდა. ბიჭი ყოველ საღამოს მამის საფლავზე მიდიოდა. არ ტიროდა, ისე იჯდა ხოლმე ერთხანს გაყუჩებული. მერე დედა მოდიოდა და შინ მიჰყავდა. ბიჭი დედას ეუბნებოდა: „დედა, მამა მიწის ქვეშ ხომ მოკვდებაო?“ დედა პასუხს არ აძლევდა, მაგრამ სახეზე სევდა ეხატებოდა. მერე ბიჭი კერიის პირას ჩამოჯდებოდა და დედას პურების გამოცხობაში ეხმარებოდა. ამ დროს ისინი ხმას არ იღებდნენ. უფრო სწორად, დედა არ იღებდა ხმას. გვიან ღამით ბიჭი წამოდგებოდა, თავიანთ ცხვარსა და ქათმებს მონახავდა და მერე დილამდე იძინებდა და ყველაფერი ავიწყდებოდა. ბოლოს მამის დაბრუნების იმედი დაჰკარგა. აღარც მამასახლისსა და აღარც მოხუცებს არ ესალმებოდა. მათ ხომ მამამისი მიწაში ჩამარხეს — მოხუთეს. სულ ამაზე ფიქრობდა.

ბიჭი მიტრიალდა და დედას შეხედა. დედა მშვიდი და მოწყენილი იყო.

— დედი, კარგი ვქენით, რომ წამოვედით, არა? ჩვენ ხომ აღარასოდეს არ დავბრუნდებით სოფელში?

დედამ სახეში შესცინა შვილს. ბიჭს გული გაეხსნა, ისე წრფელი და სათნო იყო დედის ღიმილი.

ახლა უკვე აღარც ნისლი იყო და აღარც სოფელი ჩანდა. მზე მწვანე ჯეჯილს ეფინებოდა და ჯეჯილიც სეიედების წელზე შემორტყმული ქამარივით მწვანედ ხასხასებდა. ნათესებიც დამთავრდა და ბორცვიდან თავდაღმა დაეშვნენ. დაბლა მინდორიც მწვანე ბალახით იყო დაფარული. ზამთრის გასვლას კიდევ ერთი თვე აკლდა და მზე უძალოდ ციაგებდა ტატნობზე. ცა ცისფერი და უღრუბლო იყო, მიწა ნამიანი წინადღის წვიმით. მთის გაღმა მხრიდან ორთქლი ზანტად მიემართებოდა ცისკენ.

დედაშვილი წყაროს პირას ჩამოსხდნენ. წყაროს ანკარა წყალი ობლის ცრემლივით გადმოსჩქეფდა, საყვარელ ადამიანს რომ ეფრქვევიან ისე. დედამ ფეხები გამართა, ბიჭმა სუფრა გაშალა. მზეს ძალა მოემატა და ლოყებზე მოეფერა დაღლილებს. დედა უკვე გამოსულიყო ფიქრებიდან. იგი შვილს მიჩერებოდა და რატომღაც ვერ ძღებოდა მისი ცქერით. ბიჭმა პეშვით წყალი დალია, მერე უცხო გარემოს დაუწყო თვალიერება და თანდათან ჩაეძინა. ქალი ხარბად უცქერდა შვილს, რომელსაც ჩვილი ბავშვის უმანკო ძილით ჩასძინებოდა. ბიჭის კალმით ნახატმა თვალწარბმა უნებლიედ თავისი ქმარი გაახსენა.

იმ წელიწადს მოსავალი ტახმა გაუნადგურა. თითქოს ყველა და ყველაფერი შემოსწყრაო, ყელამდე ვალებში ჩაეფლო. მეწვრილმანის შარშანდელი სესხი ჯერ კიდევ არ გადაეხადა. იძულებული გახდა რამდენიმე გროშისათვის სხვებივით სამხრეთში წასულიყო საშოვარზე. ჯიროვთში კარგა ფული იშოვა, მაგრამ ციებამ არ დაინდო. ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს მანქანით სოფელში და სა-

ღამომდე არც გაუღწევია, გარდაიცვალა. მერე ქალი იძულებული გახდა მთელი ავლადიდება გაეყიდა და მოვალეები გაესტუმრებინა. თვითონ აქაური არ იყო. შორიდან იყო — სამხრეთიდან. ახლა თავის ოჯახში დაბრუნება აღარ შეეძლო. გადასწყვიტა: ორმოცი ფარსაგი გაევლო, ქერმანში ჩასულიყო, იქ თვითონ მოახლედ დამდგარიყო, შვილი კი სადმე დუქანში შეგირდად დაეყენებინა. დაღლილ ქალს სხეულის ყველა ნაწილი სათითაოდ სტეხდა, მაგრამ შვილი წასასვლელად მაინც გააღვიძა. ბიჭმა საბალახოდ გაშვებული ვირი გამოდენა და სამივენი გზას გაუდგნენ.

ნაშუადღევს ამინდი შეიცვალა — გაფუჭდა. გზა მომქანცავი გახდა. სიარულისაგან ფეხისგულები ასტკივდათ. საიდანღაც ქარი ამოვარდა, მშრალი და უმტვერო. ქალმა ვერ შენიშნა, როდის მოიღრუბლა. როცა ზემოთ აიხედა, ცა ღრუბლის ფთილებით იყო დაფარული. შეწუხდა, ფეხი აიჩქარა და სახედარსაც ორიოდე სახრე უთავაზა. უცებ ცხენის თქარათქური მოესმა. მიიხედა და შორს ვიღაც მხედარი დალანდა. მხედარი ქალალდზე დასხმული მელნის ლაქასავით სწრაფად დიდდებოდა. ,,რა კარგი ცხენი ყოლიაო‘‘, — გაიფიქრა ქალმა.

მხედარი ახლოვდებოდა და ქალი იმისკენ აღარ იხედებოდა. ბიჭი კი თვალს არ აშორებდა მას. ცხენი ბორძიკობდა, თითქოს ქვიშაში მიდიოდა. კაცს მაგრად ეჭირა ხელში სადავე. ბიჭი გაფაციცებით მისჩერებოდა ხან კაცს, ხან ცხენს, ხან მიწას. მხედარი მგზავრებს წამოეწია და მხარდამხარ გაჰყვა.

— გამარჯობა, დაო, როგორა ხარ?

— ღვთის წყალობით არა მიშავს რა, ვჯახირობ. თქვენ როგორ ბრძანდებით თქვენი ოჯახობით?

— არა გვიშავს რა, თქვენი წყალობით.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბიჭი გაოცებული იყო: ცხენს ფაფარი ქალის ნაწნავივით ჰქონდა დაწნული. ბიჭი კაცს მიუბრუნდა და ცხენის ფაფარზე ანიშნა:

— ალა, მაგის ფაფარი ეშმაკს დაუწნავს. ამბობენ, კარგი არ არის ასეთ ცხენზე ჯდომაო.

— მართალს ამბობ, ბიჭიკო. მაგრამ მე უკვე შევულოცე.

ქალი კაცს ათვალიერებდა. კაცმა პალტო განგებ გაიხსნა, რომ ქალს მისი მწვანე შალი დაენახა.

— რა მოხდა, დაო, რა შეგმთხვევია? — ჰკითხა კაცმა.

— გრძელი ამბავია მოსაყოლად, ძმაო. ხელმოკლეობის გამო ქერმანისაკენ გამოვწიე, ვიფიქრე, იქნებ სამუშაო ვიშოვო და თავი ვირჩინო მეთქი.

— მეტს ნუ გააგრძელებ, დაო, კაცი თავად მიხვდება რაც დაგმართვია: დაქვრივდი, მიწა ბატონისა იყო, იქაური არ იყავი.

— ასეა ძმაო, მართალს ბრძანებ — თავისთვის გაიფიქრა, რა ენაწყლიანი ალააო.

— დაო!

— რას მიბრძანებ, ალა!

— შენს ბიჭს საქმის გაკეთება შეუძლია?

— დიახ, ალა, საქმე ემარჯვება, არც ზარმაცია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალმა მოსვენება დაკარგა. გაიფიქრა: „კარგი იქნება, თუ ეს პატივცემული ალა რაიმე საქმეში ჩააყენებს ჩემს ბიჭსო‘‘. კაცი კი მშვიდად იყო, ხმას არ იღებდა, უნდოდა ქალი დაეინტერესებინა. ფანდმა გასჭრა, ქალმა ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— რა საქმეა, ალა!

— ხალიჩების ქსოვა. ორი-სამი წლის მერე დამოუკიდებლად შესძლებს ხალიჩების ქსოვას. შენ შეგიძლია თვეში ერთხელ სანახავად მოხვიდე. რაიონში ვისაც ჰკითხავ, ყველა მიცნობს. სეიედ მოჰამედ ალი მქვია. შენს შვილს წერა-კითხვას ვასწავლი, დაო, ნამაზსა და მარხვის წესებს. ვიმედოვნებ, რომ პატიოსანი მუსლიმანი დადგება.

— როდის მოვიდეს? — შეეკითხა ქალი.

ბიჭმა ყურები ცქვიტა, გულით უნდოდა ეს მხედარი აქაურობას გასცლოდა, არ უნდოდა დედასთან განშორება. დედა შვილს ათვალიერებდა, გული უკვდებოდა, მაგრამ ფიქრობდა: ,,ალა ღვთისმორწმუნეა, ჩემი შვილი მის ხელში უთუოდ პატივსაცემი კაცი გამოვა — წერა-კითხვის მცოდნე, ხალიჩების მქსოველი‘‘. მერე შვილს მიუბრუნდა და ჰკითხა:



— აჰმად, გინდა წასვლა?

აჰმადმა მუდარით შეხედა დედას და თვალები ცრემლით აევსო:

— არ შეიძლება შენც ჩემთან წამოხვიდე? — ერთად წავიდეთ!

— არა, დედა გენაცვალოს, მე ქერმანში წავალ, სამუშაოს ვიშოვი. შენ კოსტუმს გიყიდი, ფეხზე ჩასაცმელს და ათას სხვა რამეს. ყოველთვე მოვალ შენს სანახავად. ახლა სასწავლებლად რომ მიჰყევხარ, ალას მადლობა გადაუხადე. წადი, წადი, ღმერთი იყოს შენი მფარველი. ალა, ღმერთმა მოგიზღოს სიკეთისათვის!

კაცმა დედას გზის ხარჯებისათვის ათი თუმანი ჩაუდო ხელში. მერე დედა შვილს ცხენზე შეჯდომაში მიეხმარა, ხელი კაცის ქამარზე ჩააჭიდინა და ცხენი ადგილიდან მოსწყდა. დედა იდგა და გასცქეროდა, სანამ ცხენი თვალს არ მიეფარა. თვალებში სევდის ნაცვლად იმედი ჩაესახა. მზის სხივები ღრუბლებიდან დედამიწაზე ჩამოცვივდა. მთა გაშავდა. ორი საათის შემდეგ ქალმა რასულის ქავახანამდე მიაღწია და ღამე იქ გაათენა, დილით კი გზა განაგრძო და ქერმანში ჩავიდა.

შემიძლია შენ ვალში ეს ბავშვი მოგცე, ოთხი მანი უვარგისი თრიაქის ფასად. — უთხრა სეიედ მუჰამედ ალიმ ბელუჯს. — როცა ნავსადგურში გაივლი, შეიხებს მიჰყიდე. ბელუჯი ულვაშს იგრეხდა:

— სახიფათოა, მთავრობამ რომ გაიგოს?

— ვითომ პირველად სჩადიხარ ამისთანა საქმეს?

— შენი ჯიშის კაცისა მეშინია. შენ ხომ წინასწარმეტყველი მუჰამედის შთამომავალი ხარ?!

— ნუ გეშინია, ცუდ ფულს არ მოგცემენ.

— მართალს ამბობ, მართალს ამბობ. ეშმაკმა შეგაჩვენოს!

ბელუჯმა ზიზღით გადახედა სეიედს:

— როცა გაიგებენ რაცა ხარ, სახეში შეგაფურთხებენ. ღმერთი თუ დიდ კაცს სინდისს წაართმევს, მას უკვე აღარაფერი ეშველება.



კაცი აენთო. ბიჭი ამ დროს ათიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა ცხენი ალვირით ეჭირა, რომელიც გამეტებით ურტყამდა მიწას ტორს. ელოდა: კაცი ცხენზე შემომისვამსო, მაგრამ კაცს მისკენ არც კი მიუხედავს, ისე გასცილდა იქაურობას. გაოგნებული ბავშვი ბელუჯების აქლემებთან იდგა, ბოლმა ახრჩობდა, მაგრამ არ ტიროდა. ბელუჯები ცეცხლს შემოსხდომოდნენ და საუბრობდნენ.

ქალი შუადღემდე ქალაქის არქის მოედანზე იდგა. ბოლოს, როგორც იქნა, რაინში მიმავალი მანქანა იშოვა — სამგზავრო ტაქსი. ისევ ჩადრში იყო გახვეული, მაგრამ ძველი სოფლური ტანსაცმელი აღარ ეცვა. ქერმანში ჩავიდა თუ არა, იმდენი იხეტიალა, სანამ ერთ ზორასტრული სარწმუნოების ოჯახში არ მიიღეს. ასეთი კეთილი და პატიოსანი ხალხი ქალს თავის სიცოცხლეში არ ენახა. ტანსაცმელი, საჭმელი და ცოტაოდენი ფულიც მისცეს. მან გულითა და სულით შეიყვარა თავისი კეთილისმყოფლები. როცა გაიგეს, რომ იმის შვილი რაინში ხალიჩების ქსოვას სწავლობდა, წასვლის ნება დართეს და ბავშვისათვის ორი ყუთი ტკბილეულიც გაატანეს. შემდეგ დედამ თავის ბიჭს ქერმანის ბაზარზე იაფფასიანი კოსტუმი უყიდა და რაინისკენ მიმავალ ტაქსში ჩაჯდა. მანქანა სწრაფად მიქროდა. სულ სამი საათის სავალი გზა იყო. ტაქსი სავსე იყო მგზავრებით — ქალებითა და კაცებით. მანქანის ღია სარკმლიდან ცივი ქარი სახეში სცემდა. დედა უზომოდ გახარებული და ბედნიერი იყო, გაზაფხულის სურნელება და შვილის ნახვის იმედი ათრობდა. გზის პირას ჩამწკრივებული ხეები ფოთლებით შემოსილიყო. მდელოზე გაზაფხულს ნაირფერი ყვავილები მიმოებნია: ყაყაჩოები, სუმბულები, იები... ქალს ყველაფერი თვალს სტაცებდა და მკერდში გული სიხარულით უძგერდა. რაინამდე არც კი გამოლაპარაკებია მგზავრებს. რაინში კი შოფერს ჰკითხა, აღა სეიედ მოჰამედი ალი სადა ცხოვრობსო. შოფერმა დაკვირვებით შეათვალიერა ქალი და უთხრა:

— რა, თრიაქი ხომ არ მიგაქვს მასთან? სეიდ მოჰამედ ალი მაგისთანებით ვაჭრობს. ქუჩის გადასახვევში დუქანი აქვს.

ქალს მადლობის გადახდაც კი დაავიწყა. მაშინვე დუქანს მიაშურა. იქ შეგირდმა უთხრა: „სეიდ მოჰამედ ალი მეჩეთში ნამაზზეა წასულიო. ქალი მეჩეთში წავიდა. მეჩეთიდან მედუქნეები უკვე გამოდიოდნენ. ქალმა სეიედ მოჰამედ ალის მოჰკრა თვალი და დაუძახა:

— აღა! აღა!

სეიედ მოჰამედ ალი ქალის დანახვაზე შეცბა.

— რა გნებავს, დაო?

— ჩემი ბიჭის სანახავად ჩამოვედი.

— რომელი ბიჭისა? — მედუქნემ ხალხს გადახედა — რას ამბობს?

მედუქნეს ვიღაცა წამოეშველა:

— დაო, სეიდ მოჰამედ ალი აგერ ორმოცდაათი წელია ცოლიანია, მაგრამ აქამდე შვილი არ შესძენია. უშვილო ოჯახია,, დაო.

შეშფოთებულმა ქალმა აღარ იცოდა რა ეთქვა:

— ღმერთმანი, ჩემი შვილი წამოიყვანა. ხალიჩების საქსოვი მაქვსო, ავესტასაც ვასწავლიო.

კუთხეში მიმჯდარი ორი ჟანდარმი წინ წამოვიდნენ. ქალმა მათ ყველაფერი თავიდან ბოლომდე უამბო. ჟანდარმები საგონებელში ჩავარდნენ:

— სეიდ მუჰამედ ალი პატივცემული კაცია. გესმის, რა საშინელ დანაშაულს აბრალებ? ისე გამოდის, რომ შენი შვილი შეუჭამია: აგერ, ოთხი წელია ჩვენ აქა ვართ და არავითარი ბავშვი-მავშვი მის ეზო-გარემოში არ დაგვინახავს.

სეიდ მოჰამედ ალი გათამამდა:

— დაო, ვთქვათ, შენი აბდა-უბდა სწორია. თუ ბავშვი მართლა გყავდა, სადა გაქვს მისი დაბადების მოწმობა, სადა?

— უსინდისოვ, უღმერთოვ, შენ არ წაიყვანე ჩემი ბიჭი?! შენ არ შემეხვეწე, გამატანეო?! ღმერთმა იცის, ეგება მოჰკალი კიდეც?!

ჟანდარმებმა წინ წამოიწიეს:

— დაო, ნუ მიედ-მოედები, გვაჩვენე დაბადების მოწმობა.

ქალმა ამოიკვნესა:

— უფროსო, ჯერაც არ ამილია. მამამისს პასპორტი არა ჰქონდა და ბავშვსაც დაბადების მოწმობა არ მისცეს. მამასახლისმა ძალიან ბევრი ფული მოგვთხოვა, ჩვენ კი არაფერი გაგვაჩნდა, რომ მიგვეცა.

უმწეო ქალი მწარედ აქვითინდა. გრძნობდა, რომ ყველა მტრულად უყურებდა. ესენი რეებს ლაპარაკობენ, რატომ არავის ჯერა მისი?! ხალხი სეიდ მოჰამედ ალის პატიოსან კაცად იცნობს, ნამაზისა და მარხვის მეტი მისგან არაფერი უნახავთ. მხოლოდ თრიაქს ჰყიდის". ქალმა ისიც კი არ იცოდა, რა დღე იყო, როცა ამ კაცმა იმისი შვილი წაიყვანა. აქამდე შვილის დაბადების მოწმობაც არ აუღია. მეჩეთთან აურზაური ატყდა. პატარა დაბას ეს ამბავი ქარის სისწრაფით მოედო. ჟანდარმებმა ქალი წაიყვანეს. ზოგი იმასაც კი ამბობდა: „ნოვრუზს ფულის შოვნა მოსდომებია და ამიტომ სწამებს პატიოსან ადამიანს ცილსო".

ქალი წინ მიდიოდა. ტკბილეულის ყუთები და ნაყიდი ტანსაცმელი ხალხს ფეხებში მიაყარა. ტკბილეული მიწაში აირია და ტანსაცმელი კი ისე ეგდო ლაფში, როგორც ცხენიდან გადმოვარდნილი ბავშვი. ყველა გაოგნებული იყო. ჟანდარმებს ქალი შეეცოდათ:

— დაო, მაგ კაცს აქ ბავშვი არ მოუყვანია, იქნებ სხვას გაატანე, ეგებ მისამართი აგერია?

— არა, ღმერთმანი, თავად მითხრა: რაინში რომ მოხვალ, იქ ყველა მიცნობსო, ხალიჩების საქსოვი მაქვსო.

ჟანდარმები იფიცებოდნენ:

— ღმერთია მოწმე, სახელმწიფო მოხელეები ტყუილს არ გეტყვით, აქ ბიჭი არავის მოუყვანია. მიდექ-მოდექი, მოძებნე. ასე თუ დაჯექი, ბავშვები მასხრად აგიგდებენ, გიჟს დაგიძახებენ.

დედას აღარაფერი ესმოდა. ხალიჩების ყველა საქსოვი შემოატარეს, მაგრამ იმის ბიჭის კვალს ვერსად მიაგნეს. ქუჩა ხმაურობდა და ბორგავდა, ჟანდარმერიის უფროსმა განკარგულება გასცა: „საიდანაც მოვიდა, იქით გაამგზავრეთო".

ცოცხალ-მკვდარი ქალი მანქანაში ჩასვეს. იგი ვეღარაფერს არჩევდა: ვერც ადამიანებს, ვერ ხეებს, ვერც მთებს, — ყველაფერი გამქრალიყო. დაღამდა. ლამპიონები აანთეს. ქარი კვნესოდა. ისმოდა მანქანის მოტორის ერთფეროვანი გუგუნი. დედის მზერა წყვდიადში რაღაცას დაეძებდა, არც გრძნობდა რამეს და არც არაფერი ესმოდა.

სპარსულიდან თარგმნა ნინელ თარგამაძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზაფხულია დღეს

ადიდდნენ მდინარეები
ადიდებულა მტკვარიც
ო, რა საამო დღე არის
თან გაზაფხულიც არის.
ზეცას ტოროლა დაფრინავს
მაღლა უგალობს მზეს
და შეგვახსენებს ყველას რომ
თებერვალია დღეს!

## საზეიმო

აკაშკაშდი, აციმციმდი
მოელვარე მზეო,
გაგვინათე, გაგვიბრწყინე
საზეიმო დღეო.

## ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...
ითვლის თინა და თამაშობს ბურთით,
არ იღლება, არ ისვენებს წამით
ჩვენი თინა, პაწაწინა ქალი.
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...
უცებ ახტა, გადაგორდა ბურთი.
ტირის, ტირის არ ისვენებს წამით
ჩვენი თინა, პაწაწინა ქალი.
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...
მოდის დედა სულ ახალი ბურთით,
ატიტინდა არ ისვენებს წამით,
ჩვენი თინა, პაწაწინა ქალი.
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...
ისევ ხტის და დაგორაობს ბურთი.

## ფისო

ფისუნია ფისო,
ნახატს შესცქერისო,
ჩარჩოში რომ თაგუნა ზის
ცოცხალი არისო?
ნეტავ არსად რომ არ გარბის
მე ხომ არ მიცდისო?
ახტა ჩვენი ფისო
დაებერტყა ძირსო
ჩარჩოში რომ თაგუნა ზის
ფისოს დასცინისო:
ერთხელ კიდევ თუ ამოხტი
გაიჭეჭყავ ცხვირსო!..

## გაზაფხული

არაკრაკდა ნაკადული
ახავერდდა მდელო,
ჰა, მერცხალმაც ინახულა
ტურფა საქართველო.
გაზაფხულმა ფრთა გაშალა
შეიმოსა მდელო,
რა დიადი ქვეყანაა
ჩვენი საქართველო!

ხათუნა ღვინიაშვილი,
თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.



# ქართველი ქალები მყინვარწვერზე

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიისა და მის ბაზაზე შექმნილ ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის 134 წლის არსებობის მანძილზე მრავალი სამეცნიერო ექსპედიცია მოწყობილა. მათ შორის ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას ექსპედიციები კავკასიონის მყინვარებზე. აქ ხომ მუხლმაგარი, ჯანღონით აღსავსე, უშიშარი ადამიანები დადიან და ყინვარების ბუნებას სწავლობენ.

სამეცნიერო ექსპედიციების ეს სერია იმით არის საინტერესო, რომ ბევრ მათგანში „ძმებთან" ერთად დებიც მონაწილეობდნენ.

ქალთა ალპინიზმის თავფურცელი 1923 წელს შექმნა გეოფიზიკური ობსერვატორიის დამკვირვებელმა და შემდეგ საქვეყნოდ ცნობილმა, ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილმა ალექსანდრა ჯაფარიძემ. ა. ჯაფარიძე პირველი ქართული სამეცნიერო ექსპედიციის წევრი გახლდათ. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ობსერვატორიის დირექტორი პროფესორი ა. დიდებულიძე.

ა. ჯაფარიძეს ხშირად უთქვამს — „ნეტავ ვინმე მოგვბაძავდესო"... მალე აუხდა ნატვრა. ინსტიტუტის თანამშრომლებმა ლონდა კუპრაშვილმა, თამარ ჯობავამ, ლამარა თანდაშვილმა და ლიანა ხარბედიამ მრავალჯერ ასახელეს თავისი ინსტიტუტი, ბევრჯერ გადალახეს დაბრკოლებები, მომქანცველი აღმართები, პირდაღებული უძირო ნაპრალები, ბობოქარი ყინვარული მდინარეები, თოვლ-ყინულიანი კლდეები. ზაფხულის ცხელ დღეებში უშიშრად ებრძოდნენ თოვლ-ყინულეთის მრისხანე ბუნებას: ყინვას, ქარბუქს, თოვას, ღრმა თოვლს, ნისლს, გაიშვიათებულ ჰაერსა და ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ.

შემდეგ... შემდეგ მათ აცილებდნენ გერგეთელები, ხევის მოდარაჯე სიონის კოშკი, ლამაზი ჯვრის უღელტეხილი, ლეგენდებით აღსავსე გუდაური, ზეკარს შეკედლებული მლეთა... თბილისში კი მათ ხვდებოდნენ მშობლიური ინსტიტუტი, ამხანაგები, მეგობრები.

1973 წელს პირველი საბჭოთა სამეცნიერო ექსპედიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, ინსტიტუტის ჩინებულ დარბაზში, გაისმა საპატიო სტუმრის, ალექსანდრა ჯაფარიძის მგზნებარე სიტყვები: „მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს ინსტიტუტში ჩვენს საქმეს ბევრი განმგრძობი ქალი ჰყავს"...

— ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ, რომ თაოსნობა თაოსნობად არ დარჩეს! — იყო პასუხი. შემდეგ ისინი მრავალჯერ გაუდგნენ გზას მყინვარებისაკენ. მათ შეემატათ მოხევე გოგონა მაყვალა რუსიტაშვილი, მუდამ ბობოქარი აზა ცქვიტინიძე, დინჯი ლია ჭაბაშვილი.

დღეს კი გლაციოლოგიურ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა საქმის კარგი მცოდნე უფროსი ინჟინერი ლიანა ხარბედია. მას მხარში ამოუდგნენ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, სამი შვილის დედა ნაზი ტოგონიძე, დაუღალავი მაგული ჩანტლაძე. დიდი იმედის მომცემი ვალიდა ყაჭეიშვილი.

ექსპედიციამ ორ თვეზე მეტი ბრწყინვალედ იმუშავა საქვეყნოდ ცნობილ, ოდესღაც ბობოქარ ყინვარ დევდორაკის გლაციალურ და წინაგლაციალურ ზონებში. შეგროვილია მდიდარი მასალა, რომელსაც ექსპედიციის უფროსის ლიანა ხარბედიას მადლიანი ხელი ატყვია. მან წარმოადგინა მეცნიერულ დონეზე, დიდი გემოვნებით შესრულებული ექსპედიციის მუშაობის სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიში, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებას.

ვასილ ცომაია,
ა/კ ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჰიდროლოგიის განყოფილების უფროსი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



2129

# მცხეთა საქართველოში

დღეს ჩვენი პარტია და ხელისუფლება დიდი მზრუნველობით ეკიდებიან ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურას, ისტორიულ-მატერიალური ძეგლების დაცვა-აღდგენას. ამ მხრივ რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ბევრი საინტერესო და ძალზე საჭირო ღონისძიებები განახორციელა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხალხს ჩავუნერგოთ ეროვნული ღირსებისა და ეროვნული კულტურის პატივისცემა, რასაც ითვალისწინებს პარტიისა და მთავრობის არაერთი დადგენილებები ქალაქ-მუზეუმ მცხეთის განვითარებისა და კეთილმოწყობის შესახებ. „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ნათელი დადასტურებაა 1974 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადების შესახებ".

ხელშეუხებია მისი ყოველი მტკაველი მიწა, ხელდაუკარებია მისი ძეგლები, თვალისჩინივით უფრთხილდებიან, რესტავრირდება — შიომღვიმე, ჯვარი, სვეტიცხოველი, ქსნის ციხე, ბებრის ციხე...

ხელიხელ საგოგმანებია მცხეთა, აკვანი საქართველოს ისტორიისა.

დღეს მცხეთა ხარაჩოებშია: შენდება, ლამაზდება, მშვენდება, უდიდესი ყურადღება ექცევა სიძველეების დაცვას. არაგვის ხეობის უბრალო რიყის ქვის გადაადგილების უფლება არა გვაქვს თვითნებურადო, ამბობენ მცხეთელები. აქ ყველაფერს ისტორიის ბეჭედი აზის, სამუზეუმო ღირებულება აქვს მის თითოეულ ექსპონატს, გაუთვალისწინებლად არავის აქვს უფლება შეეხოს, მდებარეობა შეუცვალოს!

მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თენგიზ პეტრიაშვილი მოვიკითხეთ, მშენებლობის საკითხებში მასზე უკეთ აბა ვინ გაგვარკვევდა და ვინ მოგვაწვდიდა საჭირო ცნობებს. ნახვა გაგიძნელდებათო, გვითხრეს, უფრო რომელიმე მშენებლობაზე თუ შეხვდებითო და სავარაუდოდ ძალისისაკენ დავადექით გზას. თენგიზი ყურადღებასა და დახმარებას არ აკლებს მშენებლებს. პროფესიით ინჟინერს, გული ხარაჩოებისაკენ მიუწევს.

მუხრანისა და ცენტრალური გზის გასაყართან, იქ, სადაც არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას პროექტის მიხედვით დიდების მონუმენტის ბუმბერაზი კვარცხლბეკი მოჩანს, თეთრი ფერის ვოლგა შევნიშნეთ. მგონი ვიპოვეთ!

თენგიზი გაცხარებული ესაუბრებოდა რაიონის მშენებლობის მესვეურებს: რაიონის მთავარ არქიტექტორს გიორგი ცნობილაძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ალექსი ბოხოჩაძესა და მის მოადგილეს ნინო მირიანაშვილს. ექსპედიცია მცხეთის რაიონში 1971 წლიდან მუშაობს და დიდ შედეგს აღწევს. ნაპოვნია უნიკალური მოზაიკა — რომელზეც ასახულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის გეომეტრიული ფიგურებით გარშემოვლებული ღვინის ზეიმის წარმომსახველი კომპოზიცია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნაქალაქარი-ძალისის დიონისეს ტაძრის იატაკის ცენტრალური ნაწილი, შემკული სხვადასხვა გამოსახულებებით. ცენტრში ბერძნული წარწერების ქვეშ მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველი ღვთაების დიონისეს და მისი თანამეცხედრის არიადნეს ფიგურები მოჩანს. მოზაიკის იატაკი აქვს დიდგვაროვანთა აბანოს კომპლექსს. ამ უნიკალური ძეგლის გაცნობით დაიწყო ჩვენი შეხვედრა თენგიზ პეტრიაშვილთან. მოზაიკა უპირველესად ყურადღებას იპყრობს სიძველით, რომლის მსგავსი ხელოვნების ნიმუში არათუ სსრ კავშირში, მსოფლიოშიც ძნელად მოგვეპოვება. თუ ბიჭვინთის მოზაიკა IV საუკუნით თარიღდება, ყინცვისისა — VII-თი და გელათის XII საუკუნისაა, ძალისის მოზაიკა მეორე საუკუნეს განეკუთვნება, თორმეტ ფერში იკითხება და ნათლად ჩანს, რომ ბერძენი ოსტატების მიერ არის შესრულებული. ძეგლი მიგვანიშნებს ანტიკური ქართლის ქალაქების არქიტექტურაზე, მის კულტურაზე, იმ პერიოდის ტრადიციებზე და რაც მთავარი და ნიშანდობლივია, თუ რაოდენ განვითარებული ყოფილა მეღვინეობა-მევენახეობა იმ დროისათვის საქართველოში. მასპინძლები გულღიად გვხვდებიან და ცხრა წლის მანძილზე ტიტანური შრომის შედეგად აღმოჩენილი ექსპონატების დათვალიერებას გვთავაზობენ — თვრამეტი, ოცი, ოცდაორი საუკუნის წინანდელი ნივთები — თიხის ფიალები, სურები, დიდგვაროვანთა ნაქონი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს სამკაულები — მძივები, სამაჯურები, ბეჭდები. ვეებერთელა დარბაზი ექსპონატებით არის მოფენილი, მოზრდილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ძლივს თუ დაიტევს ყველაფერ ამას.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლები უდიდესი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობისაა. განსაკუთრებული ადგილი მაინც მოზაიკას უკავია, რომლის მხატვრულ-სტილისტიკური და ისტორიული მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს. კარგად ჩანს ქალაქის არქიტექტურული სახე, გეგმარება, ბრწყინვალედ მოწყობილი კომუნალური მეურნეობა, მაშინდელი ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალი დონე. ნაქალაქარი ძალისა ნათლად ასახავს გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ძლიერებას.

მცხეთაში და მის რაიონში ასამდე ისტორიული ძეგლია, მათ ყოველდღიური მზრუნველობა სჭირდებათ. რის გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1977 წელს მცხეთაში შეიქმნა ხელოვნების და ისტორიულ არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა ძეგლთა დაცვისა და პოპულარიზაციისათვის. მუზეუმის გენერალური დირექტორი ვალერიან მამუკელაშვილი გატაცებით გვიყვება მუზეუმ-ნაკრძალის პერსპექტივებზე, მის ხვალინდელ დღეზე.

* * *

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი ქსნის შემოგარენი, ძველი ნაქალაქარის ტერიტორია. მშენებლობის პროცესშია ქსნის მინის ტარის ქარხანა ვრცელი დასახლებით. მალე გავა გზა ქსნის ციხეზე, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოებს.

ხარაჩოებშია მცხეთა...

შარშან ბევრი სამშენებლო და სარესტავრაციო სამუშაოები უწარმოებიათ მცხეთელებს. ქალაქში აშენდა: სამი ოცბინიანი საცხოვრებელი სახლი, რეკონსტრუირებულია თეატრ-კულტურის სახლი, ერთნაირი ტიპობრივი ღობეებითა და ცოკოლით დამშვენდა ქალაქის ცენტრში ყველა კერძო საცხოვრებელი სახლი; წილკანში, გალა-

ვანსა და მუხრანში აშენდა ბაგა-ბაღები, საშუალო სკოლა — ძველ ქანდაში, გალავანში — აბანო, ორ წელიწადში რაიონში ოთხი სასოფლო საბჭოს კაპიტალური შენობა გადაეცა საექსპლოატაციოდ, გალავანში — 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, წეროვანში — 400-ადგილიანი კულტურის სახლი, სოფელ დიღომში 20-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ძალისში საბოლოოდ მოგვარდა სასმელი წყლის საკითხი.



წლეულს მცხეთაში გაიხსნება ქორწინების სახლი, რაიონული ბიბლიოთეკა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. მტკვრისა და არაგვის შესართავთან თბილისელთათვის რამდენიმე ჰექტარზე მოეწყობა დასასვენებელი ადგილი და ოცდახუთი სხვადასხვა სპორტული მოედანი, მტკვარზე გაჩაღდება ნიჩბოსნობა, გაშენდება ვრცელი ტყე-პარკი. შესრულდება დიდი სამშენებლო სამუშაოები — დაიწყება სასტუმროს, საშუალო სკოლის, საბავშვო ბაგა-ბაღის, სამშობიარო სახლის, ერთი ოცბინიანი და ერთი სამოცბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, დამთავრდება ქალაქის საკანალიზაციო სამუშაოები, მოპირკეთდება სვეტიცხოვლის შემოგარენი. დიდი თანხაა გამოყოფილი ჯვრის მონასტრის, ქსნის, ბებრის ციხეების სარესტავრაციოდ, დაიდგმება მცირე არქიტექტურული ძეგლები მცხეთის ისტორიის ამსახველი ფოტო მასალების, ისტორიული ძეგლების მაკეტების, სტენდების სახით...



მუხრან ბატონის სასახლე



ახალი საცხოვრებელი სახლები

გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით ერთიორად გალამაზდება გზის ის მონაკვეთი, რომელიც ქალაქზე გადის, კეთილმოეწყობა მცხეთის შემოსასვლელი ნატახტართან, სადაც დაგეგმილია არქიტექტორების თამაზ ბასილაშვილისა და გიორგი ცნობილაძის პროექტის მიხედვით დაიდგას ქალაქის სახელწოდების გამომხატველი მონუმენტი. კინოთეატრ „კარიბჭეში" მოეწყობა თანამედროვე მცხეთის ამსახველი ფოტოგამოფენა. აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს მუხრან ბატონის სასახლეში, სადაც მოეწყობა სხვადასხვა სამარკო ღვინოებისა და მუხრანელ ბაგრატიონთა კუთვნილი ნივთების გამოფენა.

უნარიან კაცზე ხომ ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თენგიზ პეტრიაშვილს შემოკრებილი ჰყავს მშენებლები, არქიტექტორები, ინჟინრები, მხატვარი-მონუმენტალისტები. ისე დღე როგორ დაღამდება, რომ რამდენიმე სამშენებლო ობიექტი არ მოინახულოს. ენთუზიაზმით გვიამბობს რაიონის აწმყოსა და მომავალზე, პერსპექტიულ გეგმებზე.

მცხეთაში მთავარი ყურადღება მიექცევა სიძველეების დაცვას, აშენდება მხოლოდ დაბალსართულიანი შენობები, ისეთი, როგორიც წინა საუკუნეებში შენდებოდა მხოლოდ, იმიტომ რომ გამართლება ექნეს ქალაქ-მუზეუმად მის გამოცხადებას.

ნანული ბუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორნელი კეკელიძე

## მოგონება დიდ მეცნიერზე



მთელმა საზოგადოებრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნა ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავი.

კორნელი კეკელიძის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ლიტერატურული სკოლის ყველა დიდი წარმატება საბჭოთა ეპოქაში.

დიდია კ. კეკელიძის მეცნიერული მოღვაწეობა. მის ნაშრომებზე აღიზარდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის ათასობით მუშაკი. მან შექმნა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი მეცნიერული კურსი. კ. კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორტომეულმა მსოფლიო მეცნიერების თვალში ქართულ ლიტერატურას თავისი კუთვნილი ადგილი დაუმკვიდრა შუა საუკუნეების დიდ კულტურათა გვერდით. ძვირფასი წიგნი დაწერილია ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მეცნიერული მოღვაწეობა მარტო თავისი მასშტაბურობით და მრავალმხრივობით როდია სამაგალითო. მან დაგვიტოვა მდიდარი მემკვიდრეობა, რომლის რთულ და საინტერესო საკითხებზე იმუშავებენ მომავალი თაობები. ამიტომ არის, რომ ასე ფართოდ აღინიშნა დიდი ქართველი მეცნიერის დაბადების მე-100 წლისთავი.

კორნელი კეკელიძე რომ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია და ქართული ფილოლოგიის მამამთავარი, ეს საყოველთაოდ აღიარებული და ცნობილია. ამ მხრივ მე რისი თქმა შემიძლია? მაგრამ როგორც მისი ოჯახის წევრს, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ბატონ კორნელის ადამიანურ მხარეზე.

როდესაც მათ ოჯახში შევედი, როგორც რძალი, ბატონმა კორნელიმ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა მინადორამ ძალიან კარგად მიმიღეს. ჩვენ შორის ნამდვილი მამაშვილური დამოკიდებულება დამყარდა. მიმიხაროდა მათთან მისვლა, ბატონ კორნელისთან საუბარი. რაც უნდა მეკითხა, ყოველივეს ამიხსნიდა, მაკვირვებდა მისი განსაცვიფრებელი მეხსიერება. ზუსტად ახსოვდა რომელ წიგნში და რომელ გვერდზე მეპოვა პასუხი ჩემთვის საინტერესო საკითხზე.

მთელი დღეები თავის სამუშაო მაგიდას უჯდა და მუშაობდა, მაგიდა არასოდეს არ იყო წიგნებითა და ქაღალდებით გადატვირთული. სულ ორი-სამი წიგნი თუ ჰქონდა გადაშლილი. თუ კი რაიმე დასჭირდებოდა, გადმოიღებდა თაროდან წიგნს, წაიკითხავდა და ისევ ადგილზე დადებდა. არ უყვარდა დროის დაკარგვა. ტელევიზორს იშვიათად უყურებდა, მაგრამ თუ დები იშხნელების სიმღერას გაიგონებდა, მაშინვე გამოვიდოდა, ცოტა ხანს მოუსმენდა, თვითონაც აღიღინდებოდა და ისევ თავის ოთახისკენ გასწევდა.

კვირაობით ქალაქგარეთ უყვარდა მანქანით გავლა. მეც ბევრჯერ ვყოფილვარ მასთან ერთად. სადმე მინდვრის პირას გააჩერებდა მანქანას, გადმოვიდოდა, ღრმად ჩაისუნთქავდა სუფთა ჰაერს და სიამოვნებით გასცქეროდა გარემოს. ეს იყო მისი დასვენება.

სტუმრად იშვიათად დადიოდა. თუ წავიდოდა ისევ თავის ძმებთან. სტუმრების მოსვლა კი ახარებდა. მისი სახლი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით. მოსდიოდნენ მოწაფეები, რომელთაც დაუზარებლად მოუსმენდა და დაეხმარებოდა, მოდიოდნენ მეგობრები, ნათესავები. ხშირად მინახავს მასთან ბატონი გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, მოქანდაკე შუბუევი, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

კონსულტაციისა და მისი აზრის გასაგებად ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მწერლებიც. ჩემი მეუღლისაგან ვიცი, რომ, როცა მარიკა ბარათაშვილს დაუწერია „ჭრიჭინა“ ბატონ კორნელისთვის წაუკითხავს. მოსწონებია, შეუქია და თავისი აზრი ოჯახის წევრებისთვისაც გაუზიარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ ბატონ კორნელის ყველაფერი ლამაზი მოსწონდა, მათ შორის არც ლამაზ ქალებს ტოვებდა უყურადღებოდ. ერთ ზაფხულს ბორჯომში ვისვენებდით, ჩემთან მოვიდნენ ჩემი მეგობარი მსახიობი ქალები, ოთახში შევიპატიჟე, ბატონ კორნელის და ქალბატონ მინადორას გავაცანი. ბატონმა კორნელიმ ისინი ძალიან კარგად მიიღო, ესაუბრა, ქალებიც გათამამდნენ, გამხიარულდნენ და აღტაცებულნი და მეტად კმაყოფილნი წავიდნენ. შინ რომ შემოვბრუნდი, ბატონმა კორნელიმ მითხრა, ამდენი ლამაზი ქალი ერთად სად მოაგროვეო: ხშირად დაპატიჟე, მათი ცქერა მასვენებსო. ჩვენ ამ სიტყვებზე სიცილი აგვიტყდა.

ზაფხულობით ოქროყანაში ისვენებდა ხოლმე, მაგრამ 1962 წელს შეუძლოდ შეიქნა. ექიმებმა გვირჩიეს, თბილისიდან შორს გაყვანა სასურველი არ არისო. ზაფხული დადგა, ჯანმრთელობა საგრძნობლად უარესდებოდა, არ ვიცოდით, სად გაგვეყვანა, წუხდნენ მისი კოლეგებიც, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა პროფესორი გიორგი ჯიბლაძე. შემოგვთავაზეს კრწანისში დასვენება. ძალიან გაუხარდა. დავიწყეთ მზადება. თვითონ გვეუბნებოდა რა წიგნების წაღებაც სურდა. ერთი სადოქტორო დისერტაციის რეცენზიის დაწერასაც აპირებდა და შეგვახსენა, ჩემი კალმის ჩადება არ დაგავიწყდეთო, ყველაფერი მოვამზადეთ, მაგრამ წასვლა კი ვერ შევძელით. ორი თუ სამი დღით ადრე სისხლი ჩაექცა და მის ნათელ გონებას ბინდი გადაეკრა. სანუგეშოდ ისღა დაგვრჩა, რომ დიდხანს არ იყო ამ მდგომარეობაში. მისმა მოწაფეებმა და მეგობრებმა შეასრულეს მისი სურვილი: უნივერსიტეტს არ დააშორეს და მის ეზოში მიუჩინეს სამუდამო ბინა.

შარშან კი, მისი დაბადების მე-100 წლისთავზე, მისდამი დიდი პატივისცემა და დაფასება კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს ქართველმა მეცნიერებმა და ხალხმა. თბილისში საზეიმოდ გადახდილი იუბილეს გარდა, დიდი ზეიმით აღინიშნა ეს დღე მის მშობლიურ კუთხეში — ვანში. იქ გაიხსნა მისი ძეგლი, მშობლიურ სოფელ ტობანიერში, მისი სახელობის სკოლაში გაიხსნა კაბინეტი მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენით, სკოლის ეზოში დაიდგა კორნელი კეკელიძის ბიუსტი, იმავე სოფელში, მეცნიერის წინაპართა სახლში, გაიხსნა სახლ-მუზეუმი. ზეიმს უამრავი ხალხი დაესწრო, მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს ეს აწ უკვე ისტორიული ადგილები.

თბილისიდან ჩასული ჩვენი სახელმოხვეჭილი მეცნიერები და სტუმრები — უკრაინელი, სომეხი და ფრანგი მეცნიერნი ვანის რაიონის მცხოვრებთა საზეიმო განწყობილებას მხარს უბამდნენ და დიდის პატივისცემით და სიყვარულით იხსენებდნენ გამოჩენილ მეცნიერს.

**თამარ ბაქრაძე,**

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

# ნუთუ არ გენანება?!

ეს ნამდვილი ამბავია, გვარს და სახელს არ ვწერთ, რადგან ამ ქალის ცხოვრება ტიპური მაგალითია და ასახავს ებრაელების მიერ სამშობლოს დატოვების უმთავრეს მიზეზებს.

ეს სტრიქონები მამაშენის გულიდან აღმომხდარმა გმინვამ დამაწერინა. როგორ გაიმეტე ასე უმოწყალოდ სამუდამო განსაშორებლად ავადმყოფი, ღონემიხდილი მოხუცებული. როგორ გაუძლოს შენი განშორებით გამოწვეულ სულიერ ტკივილებს.

როგორ დათმე ოჯახური ბედნიერებითა და სიხარულით სავსე შენი მყუდრო ბინა. აქ დაირწა შენი ბიჭუნას აკვანი, აქ გითენებია თეთრად ღამეები მის გაზრდაში. აქ დაიბადა ყველაზე ნაზი, ყველაზე წრფელი ოცნებები... მშობლიური ოჯახიდან აქ, ამ ბინაში გადმოიტანე ადამიანური ღირსებებისადმი ღრმა პატივისცემა, სამშობლოს სიყვარულის, მამულის ერთგულების, ქვეყნად ადამიანის მოსვლის დანიშნულების მაღალი პრინციპები. რად გათელე ისინი ფეხქვეშ... რა გინდოდა, რას ესწრაფვოდი, რა ბედს დაეძებდი ისრაელში. რა გაკლდა შენ აქ, რა აკლდა შენს ოჯახს, შენს მეუღლეს, შენს შვილს... სიყვარული? უსაზღვრო სითბოთი და სიყვარულით იყავით გარემოსილები. მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩვენი ცხოვრების წესი და ადათი იძლევა ამის საშუალებას, არამედ იმიტომაც, რომ თქვენ გვერდით ყოველთვის იყვნენ სპეტაკი, კეთილშობილი, თქვენთვის კეთილისმსურველი, გულმხურვალე ადამიანები. სკოლაში, სადაც შენ ასწავლიდი, მთელი პედაგოგიური კოლექტივის თვალისჩინად ითვლებოდი. დღესაც, როცა ხელი აიღე ყველაფერზე და მათ შორის არა ხარ, ენანები გულიდან ამოსაღებად და გასაწირავად. როგორ არ შეისმინე შენი სადამრიგებლო კლასის 13 ბავშვის მხურვალე ვედრება, ცრემლიანი თვალების ხვეწნა-მუდარა, ოღონდ დაგვიბრუნდით, მასწავლებელო, და ჩვენ არასოდეს არ გაგაჯავრებთ, აღარ გაწყენინებთო. შენ უკვე ყრუ იყავი ყველა შესასმენელის მიმართ. შენ უკვე აღარ გიყვარდა შენი ბავშვები, შენი ამაგი და შრომა. ისინი კი აგრე რიგად არ გივიწყებენ. დღესაც ძლიერ განიცდიან შენს დანაკლისს. შენს საყვარელ საგანს — გეოგრაფიას რომ სწავლობდნენ, ყველა სტრიქონის გასწვრივ შენი ქერა თმები, ლამაზი თვალები მიცურავდა ცრემლის წვეთებთან ერთად.

— მე დავხატავ ჩემი საყვარელი მასწავლებლის სურათს, მისამართს გავიგებ და შინ გავუგზავნი, იქნებ დარჩეს ჩვენთან,— მწარედ ამბობდა ერთი გოგონა.

— ჩვენი მასწავლებელი დასამშვიდობებლად რომ მოვა, შემოვეხვიოთ, არ გავუშვათ, კლასში ჩავკეტოთ, ჩვენც მასთან ერთად ვიყოთ და შინ არ წავიდეთ, — თქვა გულდათუთქულმა ბიჭუნამ.

შენ კი არც გამომშვიდობებიხარ მათ, ისე გაუდექი გზას, იცი, ეს უმაწვილური, მწარე შთაბეჭდილებები, სიყალბე და ღალატი რა ღრმა კვალს ტოვებს მათ ცხოვრებაში? იმ დღეს სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე თვალცრემლიანი მიამბობდნენ, როგორ ცდილობდა მთელი პედაგოგიური კოლექტივი ხელი აეღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვენა გრძნობებზე. შენ მაშინ აქ იყავი და ალბათ წაიკითხავდი გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილს. კინოფილმი „მიმინოც" გინახავს, როგორ ძლიერ განიცდიან სამშობლოს მიწას მოწყვეტილი უმადური შვილები მასთან განშორებას, უკან მოუბრუნებელი გზის მოკვეთას. „საყვარლის საფლავს ვეძებდი"... მღერიან გულსაკლავად. ენატრებათ ყველაფერი. უზომოდ ენატრებათ საქართველო, თბილისური ჭადრების ჩერო, მტკვრის დუდუნი და მთაწმინდის მთვარე... რატომ არ დაიჯერე. ხომ არ გგონია, ქვეყანას, რომელიც იარაღს აულარუნებს, უმოწყალოდ ხოცავს უდანაშაულო ბავშვებს, ქალებს და მოხუცებს, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და სიმართლისათვის მებრძოლებს, აღთქმული ქვეყანა ჰქვია. ბოლოს და ბოლოს, ადამიანური ბედნიერების არსი სიმდიდრე, ფუფუნება და ფუყე ცხოვრებაა თუ ადამიანური მაღალი ღირსებებისათვის, სიკეთისა და სიყვარულისათვის, ყოველივე ამაღლებულისათვის შეუდრეკელი ბრძოლა და ჰიდილი, წინააღმდეგობათა დაურვებით განცდილი ბედნიერება?!

როგორ შებღალე მამისეულ სახლში დამკვიდრებული ასეთი მაღალი პრინციპები, როგორ აიღე ორიენტაცია სხვა ფასეულობებზე. როგორ დათმე შენი ეზოს დიდი გული, რომელსაც შეეძლო ერთი თხილი ცხრად გაეყო და ერთი ნაწილი ყოველთვის შენთვის შემოეთავაზებინა.

ეს სტრიქონები ყბადაღებულ, ენაჭარტალა სიონიზმის დაქირავებულ აგენტებამდე უსათუოდ მიაღწევს. წაიკითხავენ, სათავისოს ვერაფერს ნახავენ, მაგრამ იმას მაინც გაიგებენ, რომ შენს ახლობლებს, შენს მშობლიურ კერას, შენს კოლექტივს, შენს რესპუბლიკასა და ქვეყანას შენთვის არაფერი დაუშურებია. გზრდიდნენ სამშობლოს წმინდა მოქალაქედ და ადამიანად, მაგრამ რით გადაუხადე — იმით, რომ დაადგე და ფუფუნების საძებნელად „აღთქმული" ქვეყნისაკენ გაუდექი გზას? ნეტავ შეგეძლოს გამცე პასუხი, რით არ იყო ჩვენი დიდი სამშობლო შენთვის აღთქმული ქვეყანა?! შეგეძლო გეცხოვრა, სადაც გინდოდა, რომელ რესპუბლიკაშიც, ოლქშიც, ქალაქშიც მოისურვებდი. რა ადამიანური უფლებების გამოყენება არ შეგეძლო შენ, რა გაკლდა, სწავლა-განათლება, კულტურა თუ დასვენება? ყოფა თუ ცხოვრება? ნუთუ ბრწყინვალე ცოდნა პლანეტის გეოგრაფიისა, მისი ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური განვითარებისა, ჩვენი და იქაური ცხოვრების წესისა არ გახდა შენთვის მოქმედების სახელმძღვანელო, მეკვლე და მეგზური. ნუთუ შენი ადამიანური სინდისი უფლებას გაძლევს უფასოდ, უანგაროდ საბჭოთა კავშირში მიღებული უმაღლესი განათლება მოახმარო იმათ აღზრდას, ვინც ხვალ ზარბაზნებს დაუშენს უდანაშაულო არაბ ბავშვებს, ოღონდ წაგლიჯოს მიწა-წყალი, ოღონდ დაიოკოს თავისი დიდმპყრობელური მიზანსწრაფვანი.

ანომალიები, რასაკვირველია, არსებობს ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზეც, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, მაგრამ იგი შენში არ უნდა გამომხულიყო, რადგან შენი მშობლების ოჯახს, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის გარემოს, კოლექტივს, სადაც შენ გიხდებოდა მუშაობა, საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების სწორად გაგებისაკენ მიჰყავდათ შენი ცნობიერება. მაშ, ვინ დაგგესლა განზე გასვლის ცრუ იდეებით? ყველაფერი დაფარა მეუღლის გავლენამ, რომელიც ბევრ სხვასავით წამოეგო სიონიზმის უწმინდურ ანკესს. ვის მოუხმე საშველად, ვის სთხოვე დახმარების ხელი და ვინ არ გამოგიწოდა. ათი ათასი ხელი ერთბაშად არ წამოვიდოდა განა შენდა სასიკეთოდ, შენს დასახსნელად? შენი ბიჭუნა ჯერ პატარაა და ვერ შეძლო წინ აღდგომოდა თქვენს ნებას. მაგრამ იგი პიროვნებაა, ადამიანია. ჩაგიხედია მის სულში? იქნებ, არ უნდოდა ტოლ-სწორების, სკოლის და იმ წიგნის დატოვება, რომელსაც მშობლიური ენა, დედა ენა ჰქვია.

მე არ მინახავს მისი სახე, უკანასკნელი ზარის ჩამორეკვის შემდეგ რომ ჩაავლეთ ხელი და გააქანეთ უკან მოუხედავად. მაგრამ მე შევსწრებივარ სხვა სკოლაში, სასკოლო ოთახში მაგიდის ქვეშ შემძვრალი ბიჭუნა — „არ მინდა, არ წამიყვანოს" ძახილით როგორ გამოათრია პირგამეხებულმა დედამ.

ასე გლეჯენ, წეწავენ ყმაწვილების გულს უმოწყალოდ, საბჭოთა კავშირში სწავლა-განათლება მიღებულნი, მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილნი, ფუფუნებისთვის „აღთქმული ქვეყნისაკენ" მიმავალი მშობლები. იქეთ მიმავლებისათვის არ არსებობს არავითარი წმინდა და ამაღლებული. ადამიანური ღირსებები და ნამდვილი ფასეულობები მათთვის ჩირადაც არა ღირს.

იქნებ, გგონია, ჩვენს ქვეყანაში მიღებული განათლებით, დახვეწილი მანერებით და გემოვნებით, რომელიც გარემომ, აღზრდამ გამოიმუშავა შენში, თავისუფალი აზროვნებით, რომელიც ჩვენმა ცხოვრების წესმა მოგანიჭა, შენდა უნებურად არ გაუწევ პროპაგანდას იმ საზოგადოებრივ წყობას, რომელმაც ყველაფერი მოგცა და შენ ასე უგულოდ, დაუნანებლად დატოვე. თუ შენ და შენი ინჟინერი მეუღლე განაცხადებთ იქ (ბავშვის ცნობიერებაში მალე წაიშლება სკოლის, ტოლ-სწორების, ეზო-კარის სიყვარული), რომ ჩვენს ქვეყანაში ებრაელებს დევნიან, ჭკუასთან ახლო მყოფი თავის გულში მაინც არ გაიფიქრებს, მაშ, როგორ მიიღებდით ორთავენი უმაღლეს განათლებას? თუ იტყვით, რომ მატერიალურად არ იყავით უზრუნველყოფილნი, ფოტოსურათს მაინც არავის აჩვენებთ, სადაც „დუბლიონკებით" მორთულ-მოკაზმულნი, საკუთარ მანქანასთან ან აგარაკზე დასასვენებელ ადგილებში ხართ გადაღებული? ნუთუ საუბარში ერთხელ მაინც არ წამოგცდება, რამდენი გყავდა სხვადასხვა ეროვნების მეგობარი და ახლობელი. მათ დიდ სიყვარულზე, შენი პედაგოგიური კოლექტივის უკლებლივ ყველა წევრის დიდ და ღრმა სიყვარულზე უფრო დიდი სიმდიდრე თუ სადმე არსებობს?! ალბად უკვე მიმხვდარიცა ხარ, რომ არ არსებობს...

შენ არაფერი დაგიკლია უზარმაზარი ჯანსაღი სხეულისათვის, რომლის მკერდზე იზრდება და ცხოვრობს 250 მილიონი ადამიანი. მას არ ეშინია უმადურთა საქციელისა, მაგრამ მაინც გაგაყოლა სინანული, რომ აღზრდას, სწავლას ფუჭად ჩაუვლია, მიღებული ცოდნა დარჩენილა მკვდარ კაპიტალად, არ გადაქცეულა აქტიურ პოზიციად და მოქალაქეობრივი მოქმედების საფუძვლად. ასეთი ადამიანები იქნებიან მანამ, სანამ ბოლომდე თანმიმდევრულად და შეუპოვრად არ ვიბრძოლებთ უკლებლივ ყველა ადამიანის ცნობიერებაში იმ უწმინდესი ღირებულებების დასამკვიდრებლად, რომელსაც მშობლიური კერის, აღმზრდელი მიწის ნამდვილი სიყვარული ჰქვია!

მიწასთან გასწორებულ, დაგლეჯილ-დაფლეთილ სამშობლოს არ ტოვებდნენ, საკუთარი სიცოცხლე მიჰქონდათ მისი კეთილდღეობის საკურთხეველზე. სამშობლო შენგან მსხვერპლს არ ითხოვდა, მას მხოლოდ უნდოდა წმინდად აღგესრულებინა მოქალაქეობრივი ვალი.

რა ჰქვია იმ გრძნობას, რომელიც შენ და შენს მეუღლეს ამის სანაცვლოდ აგეკვიატათ? მერკანტელური, კერძომესაკუთრული განწყობილება და ფსიქოლოგია, მოხვეჭის, მოგების მოპოვების გაშმაგებული წყურვილი, ვიწრო, პიროვნული ინტერესები. ასე არ უცხოვრია იცკა რიჟინაშვილს, გერცელ ბააზოვს და ებრაელი ხალხის სხვა საუკეთესო შვილებს. ვერაგულად მოკლეს უშიშარი იცკა რიჟინაშვილი, მაგრამ არ შერჩა მტერს მისი წმინდა სისხლი. იგი ქართველმა ვაჟკაცმა აიღო! შეუპოვარი, შეუდრეკელი მამულიშვილის იცკას სახელი მარად იცოცხლებს მადლიერი შთამომავლობის გულში.

ხალხთა შორის მაღალი ადამიანური ურთიერთობის დიდი მოქალაქე ურიელ აკოსტა შეაჩვენეს და დაწყევლეს რაბინებმა, სინაგოგის შესასვლელთან ფეხებით გადაუარეს, ულმობლად გადათელეს მისი სხეული, მაგრამ მაღალი რწმენა და მებრძოლი სულისკვეთება მაინც ვერ შეურყიეს.

— ის მაინც ბრუნავს, ის მაინც ბრუნავს! — დაიგრგვინა თავისი იდეალების ერთგულმა, ამაღლებულმა და განდიდებულმა ბრძენკაცმა.

დიახ, ბატონებო, გნებავთ თუ არ გნებავთ, დედამიწა მაინც ბრუნავს. გნებავთ თუ არ გნებავთ, დედამიწასთან ერთად ბრუნავს აღმოსავლეთ ნახევარსფეროზე ნაირფრად აკიაფებული ამაყი და შეუვალი ხალხის დიადი სამშობლო. მისი ყოველი შემობრუნება მზისა და ღერძის გარშემო განუზომლად აფართოებს ხალხებსა და ადამიანებზე ზემოქმედების რადიუსს. რას იზამთ... უძლეველია ამ ბრუნვის მარადიული კანონები.

თინა ზარგინავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავუფრთხილდეთ მშობლებს

ბავშვის პირველი სიტყვაც დედაა და უკანასკნელი ამონაკვნესიც. მშობლის სახელი სიხარულისა და ალტაცების გამომხატველია, ტკივილების დამაყუჩებელი, ცხოვრების გზის მაჩვენებელი. კარგად უთქვამს პოეტს:

„ხშირად არ ვიცით დედმამის ფასი,
თითქო ვართ ბავშვნი უდარდელები,
ყველაზე მძლავრი მამის მკერდია,
ყველაზე თბილი დედის ხელები".

სამწუხაროდ, ზოგიერთ შვილს მართლა ავიწყდება დედმამის ფასი...

რესტორნიდან გამოსულმა ომის ინვალიდმა გრ-ძემ მომლოდინე ცოლი რომ დალანდა, შეუტია:

— დედაკაცო, რას დამდევ, ჩემს ჭიას ვახარებ, ვსვამ, ვჭამ და ვქეიფობ, შინ ყოფნა აუტანელი გამიხადეს, ცეცხლს მივცემ ყველაფერს...

ჩვენ რომ შეგვნიშნა, ხმას უფრო აუწია:

— ამ დღეში მარტო როდი ვარ, რძალ-შვილებმა მოდად გაიხადეს მშობლების მოძულება, სად არის ადამიანობა...

— ეს უბედური მართალს ამბობს... რძალ-შვილს ძვირფასი ოჯახი გაუმართა, სამხედრო პენსიას და ხელფასს სამას მანეთს იღებს, ყველაფერ ამას ოჯახს ახმარს, მაგრამ მაინც მოგვიძულეს მოხუცები, ამიტომ ბოლმით გალოთდა ეს საწყალი, — დასძინა მეუღლემ...

რედაქციაში დარბაისელი დედაქალი მოვიდა და შემოგვჩივლა, საკუთარი ორსართულიანი სახლიდან რძალმა და შვილმა ჩვენთვის სარდაფიც არ გაიმეტეს, მოხუცი პენსიონერები ნაცნობს შევეხიზნეთ ფარდულში, ასე განსაჯეთ, ბავშვებსაც კი შეაძულეს ჩვენი თავიო. დავაიმედეთ, გაკიცხვა არ ასცდებათ უმადურებსთქო. ქალი წავიდა, მაგრამ სამიოდე წუთში ისევ შემობრუნდა: მაპატიეთ მოხუცს, მაინც შვილები არიან, თავი მოეჭრებათ, ყველაფერს ავიტანთ, ოღონდ მათ იცხოვრონ ბედნიერადო. დედა მაინც დედაა და დათმობაზე წავიდა.

ნაცნობმა ქალიშვილმა ზ. ორ-ძემ შეკითხვაზე, რატომ აგვიანებ გათხოვებას-მეთქი, სერიოზულად გვიპასუხა: ისეთს ვეძებ, დედამთილ-მამამთილი რომ არ მეყოლოსო...

მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე ხშირად იწერება წერილები ჩვენს პრესაში. მართლაც, ზოგიერთ უსულგულოსა და მეშჩანურ-მერკანტილური ყოფაქცევის ვაჟბატონ-ქალბატონებს მოხუცი დედმამა ზედმეტ საზრუნავად მიაჩნიათ, ივიწყებენ მათს განუზომელ ამაგს, ავიწროებენ, უწამლავენ სიცოცხლის ბოლო წლებს, ხოლო სოფელში მიტოვებულ მშობლებს შემოდგომაზე თუ მიაკითხავენ საკუთარი ოჯახების საზამთროდ მომარაგებისათვის.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ავლიპ ზურაბაშვილი ერთ-ერთ წერილში — „მადლობის გრძნობის შესახებ" — ასე წერს:

„დედმამაზე ზრუნვა და ფიქრი მაშინ არის საჭირო, როცა ისინი ხანში შედიან. მოხუცებული მშობლები ზედმეტად მგრძნობიარენი არიან, სულ მცირედი უყურადღებობაც კი აწუხებთ. მარად უნდა გვახსოვდეს მშობლების ამაგი... იმაზე მეტი უბედურება და ვაება არა არის რა, როცა შვილი უღირსია... მე ისეთი შემთხვევებიც ვიცი, ახალგაზრდა ცოლქმარი ურთიერთს სიყვარულს რომ ეფიცებიან, მაგრამ იქვე დასძენენ: შენ უსაზღვროდ მიყვარხარ, მაგრამ შენი მშობლები ვერ ამიტანია, ისინი თვალით არ დამანახოო. მეტი უხეშობა და სისაძაგლე წარმოუდგენელია. ვთქვათ, მშობლებს მართლაც მძიმე ხასიათი აქვთ, მაგრამ ისინი ხომ უფროსები არიან და ახალგაზრდებისაგან გარკვეულ მოთმენასა და პატივისცემას საჭიროებენ... შვილთა მადლობა არის რომ მშობლებს არ ვაწყენინოთ, — არც სიტყვით, არც საქმით... უმადურობა ამდაბლებს, არარად ხდის ადამიანს".

ყველას გვახსოვს პატარა მოთხრობა, რძალ-შვილისაგან კუთხეში ხის ჯამით მიგდებული ბაბუის მეხედვარე შვილიშვილი ხის ჯამს რომ ჩორკნიდა და მამის შეკითხვაზე ასე უპასუხა: შენთვის ვთლიო... პატარები მგრძნობიარენი და მიმბაძველები არიან და მათში ადამიანურ თვისებებს უნდა ვნერგავდეთ, რადგან დღეს თუ მამები და დედები ვართ, ხვალ პაპები და ბებიები ვიქნებით და სამაგიერო საკადრისი მოგვეზღება.

ომის პერიოდში სოციალისტური შრომის გმირმა ა. ზაგლადამ ოცდარვა უდედმამო ბავშვი იშვილა და ყველა სასახელო ადამიანად აღზარდა. მსგავსი შემთხვევები უამრავია და რა უმადურობა იქნებოდა, ამ სიკეთის და სიყვარულის წილ სიძულვილითა და ბოროტებით რომ ეპასუხათ...

ოჯახი სახელმწიფოს ნაწილია, ამიტომ ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. და ბუნებრივია, რომ ადამიანის ცუდად აღზრდისათვის მშობლებსაც სთხოვენ პასუხს. სწორედ ოჯ. ოჯახში უნდა ისწავლო უფროსის პატივისცემა და სიყვარული, უმცროს-უფროსობა, სიკეთე და გულითადობა. ხშირად ოჯახური უსიამოვნება რძალს ან სიძეს ბრალდება, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც შვილია. ის არის მოვალე პატივს სცემდეს თავის მშობლებს და მათდამი პატივისცემას პირადი მაგალითით უნერგავდეს მეუღლეს, ამასთანავე თვითონაც იყოს მეუღლის მშობლების პატივისმცემელი და მოსიყვარულე.

სამამულო ომის ინვალიდი, პენსიონერი ბ. ს-ძე გულისტკივილით ამბობდა:

— ისეთი ოჯახი გვაქვს, რომ ექვსი ათასი მანეთისას მარტო ხილს ვაბარებთ სახელმწიფოს, მაგრამ რძალი მალე აგვიხირდა, ვერ ვიტან ასეთ ცხოვრებას, მუშაობა მინდაო და ქალაქში დაიქირავა ბინა, ეკონომისტად მოეწყო, მაშინ, როცა ამ თანამდებობას სახლთან ახლოს, ხორცისა და რძის კომბინატში სთავაზობდნენ. რა თქმა უნდა, ჩვენი შვილიც მასთან გადაბარგდა და მოხუცები მარტონი დავრჩით დიდ ოჯახში.

პედაგოგი ვ. კ-ძე „ოჯახის ამრევად" რძალს ასახელებს. ასეთი მაგალითი მრავალია. პატივმოყვარე თვითნება რძლები, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიან და ოჯახურ კლიმატს წამლავენ, ბატონობენ ოჯახში და უხეშად ავიწროებენ დედამთილ-მამამთილს და მულ-მაზლებს. ცხადია, ზოგჯერ მოხუცებიც სცოდავენ — ავიწყდებათ, რომ საკუთარი მშობლების თბილ გულ-მკერდს მოცილებული ახალგაზრდა ქალი ოჯახში მათი შვილის მეგობრად და მეუღლედ, ოჯახის სრულუფლებიან წევრად და გვარის გამგრძელებლად შედის და, ბუნებრივია, აქაც მზრუნველ და მოყვარულ მშობლებს უნდა ხედავდეს. და მაინც, ვფიქრობთ, ახალგაზრდას მეტი მიმტევებლობა და გულითადობა მოეთხოვება წელთა სიმრავლით დაღლილი მოხუცების მიმართ.

ქართული ტრადიციის ოჯახში შესული რძალ-სიძე დედას და მამას ეძახდნენ მეუღლის მშობლებს. ოჯახი განთქმული იყო ოჯახური დისციპლინით. ოჯახის უფროსის განკარგულება სავალდებულო იყო ყველასათვის, მას ყველა პატივს სცემდა. ბევრგან ახლაც ასეა.

ოჯახური პრაქტიკით ზოგჯერ მართლდება რძალ-შვილის ცალკე ცხოვრება. ახალგაზრდებს უყვართ დამოუკიდებლობა, ოჯახის თავიანთი გემოვნებით მოწყობა. ეს საძრახისი არ არის, მაგრამ არც მოხუცი მშობლების ინტერესები უნდა შეილახოს, რადგან ჩვენს პლანეტაზე ყველაზე უფრო ძვირფასი სახელებია: დედა, მამა, შვილი... ვინ იცის რამდენი ლეგენდა და სიმღერაა შექმნილი დედა-შვილობაზე, მშობლების უზადო სიყვარულზე...

მშობელი ერთია ქვეყანაზე. დედმამის სისხლი ჩქეფს ჩვენს ძარღვებში... გავუფრთხილდეთ მშობლის გულს — ყველაზე ახლობელს, ყველაზე მოყვარულს!

გრიგოლ ბარათაშვილი,
შალვა კოპალიანი,
ბორჯომი. რადიორედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამცხვარი ჩაისათვის

## არაჟნის ღვეზელი

კვერცხი შაქრის ფხვნილთან ერთად კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ არაჟანი, ფქვილი, ცოტა საჭმელი სოდა (ჩაის კოვზის პირზე რაც დაეტევა) და გულდაგულ მოზილეთ ცომი. ღრმა ტაფას წაუსვით ზეთი. ჩადეთ შიგ ცომი და გამოაცხვეთ.

მასალა: ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი, 3 კვერცხი, 250 გრ არაჟანი, $1^1/_2$ ჭიქა ფქვილი.

## თაფლის ტორტი

ორი სუფრის კოვზი თაფლი პაწია ქვაბში ჩადეთ და ცეცხლზე გააჩერეთ, სანამ ადუღდებოდეს. მდუღარე თაფლში ჩაყარეთ ნახევარი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა. მერე ცეცხლიდან გადმოდგით და გააგრილეთ. კარგად ათქვიფეთ ორი კვერცხი და გაცივებულ თაფლს შეურიეთ, შეურიეთ აგრეთვე კარაქი ან მარგარინი, შაქრის ფხვნილი და ყველაფერი ეს ათქვიფეთ. ბოლოს შეაზილეთ ფქვილი. კარგად მოზელილი ცომი გაყავით 5 ტოლ ნაწილად.

ცომის ნაჭრები მრგვალად გააბრტყელეთ და ცხიმწასმულ ტაფაზე გამოაცხვეთ. თვალი ადევნეთ, რომ არ დაგეწვათ. ფირფიტა რაც უფრო მკრთალი ფერისა იქნება მით უფრო ნაზი გამოგივათ ტორტი.

ფირფიტები გააგრილეთ, გვერდები კოხტად შემოაჭერით. ნაჭრები დაფშვენით და შემდეგ ტორტს ზემოდან მოაყარეთ.

კრემისათვის აიღეთ ცივი არაჟანი, ჩადეთ პატარა ქვაბში, დააყარეთ შაქრის ფხვნილი და მანამდე თქვიფეთ, ვიდრე ერთგვაროვან, ფუმფულა მასას მიიღებდეთ, დაუმატეთ ვანილინის ფხვნილი და მაგარი ღვინო.

თითოეულ ფირფიტას წაუსვით კრემი, ერთმანეთზე დადეთ, ბოლოს მოაყარეთ უკვე მომზადებული (გვერდებზე რომ ჩამოაჭერით) ფხვნილი.

მზა ტორტი 3-4 საათი არ შედგათ მაცივარში. მაშინ ფირფიტები ერთნაირად გაიჟღინთება და გემრიელი და ნაზი გამოვა.

მასალა კრემისათვის: 500 გრამი არაჟანი, ერთი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, ვანილინის ფხვნილი (ჩაის კოვზის წვერზე), ერთი სუფრის კოვზი პორტვეინი.

## დახურული ღვეზელი

ქვაბში ჩაასხით თბილი რძე და შიგ საფუარი, შაქარი და მარილი გახსენით, შემდეგ დაუმატეთ ზეთი, მარგარინი ან კარაქი და ორი კვერცხი. ყველაფერი ეს ერთად კარგად აურიეთ; მერე ჩაყარეთ ფქვილი და მოზილეთ ცომი. ცომი გაყავით ორ ნაწილად.

გულში ჩასართველად გამოდგება ყველანაირი მურაბა, ოღონდ დაუმატეთ წინასწარ მომზადებული ფორთოხლის ქერქი (ქერქი ჯერ უნდა გაახმოთ, შემდეგ დაალბოთ და წყალში მოხარშოთ, ვიდრე არ დარბილდება, შემდეგ წყალი გადაურიოთ და ქერქები ხორცსაკეპ მანქანაში გაატაროთ).

ცომის ერთი ნაჭერი გააბრტყელეთ, დაადეთ ზედ ჩასართველი მასალა და მეორე გაბრტყელებული ცომის ნაჭერი გადააფარეთ. ძალიან გულდაგულ შემოუწებეთ ნაწიბურები — კიდეები, რათა გამოცხობის დროს შიგთავისი არ გამოვიდეს. ზემოდან გადაუსვით კვერცხის გული. ჩანგლით ზედაპირი ზიგზაგებად დახაზეთ. ღვეზელი უნდა გამოცხვეს 250 გრადუს ტემპერატურაზე.

მასალა ცომისათვის: ერთი ჭიქა რძე, 100 გრ საფუარი („დროჟი“), შაქარი და მარილი (გემოვნების მიხედვით), 2-3 კოვზი ზეთი, 200 გრ მარგარინი ან კარაქი, 2 კვერცხი, 4 ჭიქა ფქვილი.

მასალა გულში ჩასართველად: ერთი ჭიქა ან მურაბა, ან კონფიტიური, ან ჯემი. ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული $^1/_4$ ჭიქა ფორთოხლის ქერქი.

ვ. კოვჩევნკოვი

# ქალთა საბჭოში

კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკური ქალთა საბჭო ბევრი საინტერესო ღონისძიებების ინიციატორია.

ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნუნუ ვაშაკიძემ წინადადება წამოაყენა ტანსაცმელი და სასწავლო ნივთები გაეგზავნათ დაობლებული ვიეტნამელი ბავშვებისათვის, რომლებიც ჩინელ ბარბაროსებთან ომში დაზარალდნენ.

ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს კავშირგაბმულობის სამინისტროს და საწარმოთა ხელმძღვანელებმა. და აი, მოსკოვში, საბჭოთა ქალების კომიტეტში ტელეფონი აწკრიალდა — საქართველოს ქალები ვიეტნამელ ქალთა კავშირის თავმჯდომარის მისამართს კითხულობდნენ...

ქალაქის სატელეფონო ქსელის, ფოსტამტის, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის, თბილისის ტელეგრაფის, რადიოფიკაციის რესპუბლიკური კვანძის და სხვა საწარმოთა ქალთა საბჭოებმა დაიწყეს საჩუქრების შეგროვება. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასწავლო ნივთები, ანსამბლ „მზიურის“ გრამფირფიტები, ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილების ამსახველი ფოტოალბომები, სამკერდე ნიშნები... ცხრა ამანათი გაიგზავნა ვიეტნამის ქალთა კავშირის თავმჯდომარის ხათხი კუეს სახელზე.

დ. ზურაბაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავი ნუნუ ლორია.
დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. განძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 8/I-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II-80 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 134.100. შეკვ. 104. უე 07241. ფასი 30 კაპ.

# იზმირის ბაზრობაზე

იზმირი თურქეთის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია ანკარასა და სტამბოლის შემდეგ. ამავე დროს, იგი მნიშვნელოვანი საზღვაო ნავსადგური და ეგეოსის ზღვის სანაპიროს ცნობილი კურორტიც გახლავთ, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავ დამსვენებელს იზიდავს. მაგრამ ყველაზე უფრო ეს ქალაქი ცნობილია ტრადიციული, საერთაშორისო ბაზრობებით, რომლებიც იქ ყოველწლიურად იმართება. ეს ბაზრობები უნივერსალური ხასიათისაა — მოიცავს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, გამოყენებითი ხელოვნებისა და მასში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს.

პირველი საერთაშორისო ბაზრობა იზმირში 1931 წელს გამართულა. აქედან მოყოლებული ყოველი წლის აგვისტოს ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად იზმირისაკენ მიემართებიან მრავალი ქვეყნის დაინტერესებული, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რათა დაამყარონ საქმიანი კონტაქტები, დადონ სარფიანი გარიგება-ხელშეკრულებები..

ბაზრობაზე მიისწრაფვის აგრეთვე, ათასობით დამთვალიერებელი შორეული სოფლებიდან და ქალაქებიდან. იზმირის ბაზრობა თურქი ხალხის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი, საზეიმო მოვლენაა — ისინი ბაზრობაზე საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულნი, მთელი ოჯახებით მოდიან. დიდი ინტერესით ათვალიერებენ თითოეული პავილიონის ექსპონატებს, თან ერთობიან და ისვენებენ დიდებულ პარკში, რომელიც ბაზრობას აქვს დათმობილი. თავის მხრივ, ბაზრობის საორგანიზაციო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, მეტი მნახველი მიიზიდოს: პარკი საინტერესოდ არის გაფორმებული შუქ-რეკლამით, მის ტერიტორიაზე მრავლად არის საკონცერტო დარბაზები და ატრაქციონები, ვაჭრობენ თურქული სუვენირებით. ღამის კაბარეები და რესტორნები ხომ ვერ იტევს ყველა მსურველს. ერთი სიტყვით, ცხოვრება ბაზრობაზე, რომ იტყვიან, დუღს და გადმოდუღს.

იზმირის რიგით 48-ე ბაზრობა, შარშან 21 აგვისტოს გაიხსნა. ამ ბაზრობაში საბჭოთა კავშირმა 24-ჯერ მიიღო მონაწილეობა. საქართველოს სს რესპუბლიკა კი ბაზრობაზე დამოუკიდებელი ექსპოზიციით მეოთხედ იყო მიწვეული. გემოვნებით გაფორმებულ საქართველოს პავილიონის სტენდებს, რომლებიც ასახავდნენ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და განათლების დარგში, უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა, რომელთა შორის ზოგი განსაკუთრებულ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას იჩენდა ჩვენი ყოფისა და მიღწევებისადმი. მათ ყველაფერი აინტერესებდათ, ყოველი წვრილმანიც კი, რაც საქართველოს შეეხებოდა. იდგნენ ჯგუფჯგუფად და ათასგვარ კითხვებს აძლევდნენ სტენდებთან მომუშავე ჩვენს სპეციალისტებს. ეს ცნობისმოყვარე ხალხი ქართველები გახლდნენ, რომლებიც მოდიოდნენ არზრუმიდან და ართვინიდან, ბურსიდან და ალაფაზარიდან, შავშეთიდან თუ კლარჯეთიდან, რათა ცხადად ენახათ ამბად თქმული და გაგონილი.. ბევრმა მათგანმა ქართული პავილიონი რამდენჯერმე მოინახულა. უხაროდათ და ემაყებოდათ საქართველოს ესოდენ დიდი წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე.

იზმირის საერთაშორისო ბაზრობა ამჯერად 20 დღეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში იგი 4 მილიონამდე კაცმა დაათვალიერა. საბჭოთა კავშირმა ბაზრობის მონაწილე 26 სახელმწიფოს შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა. ამ დიდ წარმატებაში თავისი წვლილი საქართველოს მოდელების სახლის შემოქმედებითმა კოლექტივმაც შეიტანა, რისთვისაც იგი ბაზრობის საორგანიზაციო კომიტეტმა საპატიო დიპლომით დააჯილდოვა. ჩვენს მოდებს თურქეთის პრესამ და ტელევიზიამ ჩასვლისთანავე დიდი ყურადღება დაუთმო. ანკარის ტელესტუდიამ მოდებს ორი გადაცემა უძღვნა. ხოლო გაზეთებმა ბევრი საქებარი წერილი და სურათი დაბეჭდეს. „საქართველოს სს რესპუბლიკა სხვადასხვაგვარი პროდუქციის გამოფენასთან ერთად მოდებსაც აჩვენებს. საქართველოს პავილიონში მოწყობილი მოდელების დემონსტრაცია ხალხის დიდ მოწონებას იმსახურებს", წერდა „მერაბა იზმირი" 30 აგვისტოს, 2 სექტემბრის გაზეთ „ექსპრესში" კი ვკითხულობთ „ბაზრობაზე მოწყობილ ამ საინტერესო შოუს (მოდების დემონსტრაციას) გაკვირვებით და მოწონებით უცქერდნენ მაყურებლები, რომლებიც ამბობდნენ, „მართალი გითხრათ, პირი ღია დაგვრჩა".

მოდების დემონსტრაციაზე მუდამ ხალხმრავლობა იყო. საღამოს 8 საათზე გაისმოდა საამური, ქართული მელოდია, და დიქტორი აუწყებდა საზოგადოებას, მოდების დემონსტრაცია დაიწყოო. უმალვე ასობით ადამიანი მოხერხებულ ადგილს იკავებდა, იწყებოდა ქართველი მხატვრების ნატიფი გემოვნებით შესრულებული მოდური კოლექციის ჩვენება, სადაც ორგანულად იყო შერწყმული თანამედროვე მოდის საერთაშორისო ტენდენციები ქართული და რუსული ეროვნული ტანსაცმლის განუმეორებელ სილამაზესთან და თავისთავადობასთან. ტანკენარი და პირმშვენიერი ქალები კი მომხიბლავი ღიმილითა და ჩვენების დახვეწილი მანერით ხალხთან კეთილი ურთიერთობისა და განწყობილების ატმოსფეროს ქმნიდნენ და თურქ ხალხს მოაგონებდნენ თქმულებებსა და ზღაპრებში შემორჩენილ ქართველ ასულთა სილამაზეს. აღფრთოვანებულ შეძახილებსა და ტაშს ბოლო არ უჩანდა...

ლ. ხვედელიძე





6153/34
ეროვნული ბიბლიოთეკა




ინდექსი 76178

საქართველოს სამხატვრო ფონდის სამხატვრო კომბინატის სახელოსნოებში 50 ათასი დასახელების სუვენირი დამზადდა მოსკოვის ოლიმპიადისათვის.

ქართული სუვენირები მსოფლიოშია ცნობილი. მათ სიამოვნებით იძენენ ბულგარეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იტალიაში. ქართული კერამიკა მოსწონთ ჰოლანდიაში, ერთერთი მთავარი შემსყიდველი ქართული სუვენირებისა, გახლავთ იაპონია.

და აი, 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოსკოვში, სადაც თავს მოიყრიან მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები და სპორტული კომენტატორები, აგრეთვე ტურისტები — ისინი იხილავენ სხვადასხვა კერამიკულ ვაზებს, სურებს, დოქებს, საკამფეტეებს, მეტალისაგან დამზადებულ მედალიონებს, ემბლემებს, სამკაულებს ქართული ხელწერით.

აღსანიშნავია, სკულპტორ ნ. შავგულიძის, კერამიკოსების — ვ. ჩერქეზიშვილის, ნ. ბოტკოველის, მ. ვანიშვილის, ო. რჩეულიშვილის და სხვათა ნამუშევრები.